# საბჭოთა (სარბიელი)

სპორტული გაზეთი | შაბათი 14 დეკემბერი 2002 №239 (1761) | ფასი 50 თეთრი

# გუნდები საგუნდაოდ მიდიან

## ინგლისში ფეხბურთი გოზინაყია



ოტმარ ჰიცფელდის „ბაიერნი“ ახალ წელს პირველ ადგილზე შეხვდება



კახა კალაძის „მილანი“ სერია A-ს ერთქულიანი უპირატესობით ლიდერობს

ჩვენში ზამთარი, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად დადგა, მაგრამ ევროპაში — ვაი, რომ შორეულში — ზამთრის დადგომას განსხვავებულად ზებით იტყობენ, კალენდარში იყურებიან — მათ შორის, საფეხბურთოშიც.

ევროპული საფეხბურთო კალენდარი კი ევროპელებს ატყობინებს, რომ შობა-ახალი წლის სამზადისის დაჭერა ფეხბურთელებსაც მართებთ და ჩემპიონატებს ცოტა ხნით უნდა შეეშვან.

ამ კვირაში შევებულება აილო ჩემპიონთა ლიგამ, ამ უქმეებზე ჩატარებული ტური ბოლო იქნება გერმანელებისთვის, ბუნდესლიგა 26 იანვრამდე დაისვენებს, იტალიასა და ესპანეთში კი მომდევნო უქმეებზეც ითამაშებენ და მერეღა დაისვენებენ.

ერთი სიტყვით, რალაც-რალაცეების დათვლის დრო მოდის. მაგალითად, მომდევნო კვირაში, 17 დეკემბერს, ფიფა მსოფლიოს, „ფრანს ფუტბოლი“ კი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელებს დაასახელებენ. ხოლო აქ, მერე რა, რომ უკვე დეკემბერია, „საშემოდგომო ჩემპიონებზე“ ვთქვათ.

გერმანიაში ყველაფერი, რა ხანია, დალაგებულია — „ბაიერნს“ ვინძლო გაზაფხულამდეც ვერავინ დაეწიოს.

„რეალ სოსიედადი“ ევროპაში ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება, მაგრამ ესპანურ პრიმერადივიზიონში საქმე ისეა აწყობილი, კაცმა არ იცის, ახალ წელს პირველ ადგილზე ვინ შეხვდება. ეს შესაძლოა, ხვალ გაირკვეს — თუ ბასკები წამოჩიტულ „მალიორკას“ სძლევენ, „საშემოდგომო ჩემპიონებიც“ ისინი იქნებიან.

და რაღა ვთქვათ იტალიაზე, სადაც ზეთხეულში ისეთი სიმჭიდროვეა, კაცმა პროგნოზისგან საერთოდაც თავი უნდა შეიკავოს, მაგრამ მაინც, შესვენებამდე დარჩენილი ორი ტურის კალენდარი „მილანის“ ფავორიტობაზე მიგვითითებს.

ინგლისზე კი საერთოდ არაფერი უნდა ვთქვათ, თუნდაც იმიტომ, რომ მათი ტრადიცია ფეხბურთელებს ახალი წლის ტრადიციულად აღნიშვნას უკრძალავს. იქაური გუნდები საახალწლოდაც ოფლის ღვრაში იქნებიან და, მოდი და გაიგე, როდის მთავრდება „საშემოდგომო ჩემპიონატი“ და როდის იწყება „საგაზაფხულო“.

და ჩვენ?

განა ისე ბევრი გასართობი და გულის გადასაყოლებელი გვაქვს, რომ ნაღდი ფეხბურთის თუნდაც მცირე ხნით წასვლამ ცოტათი გული არ დაგვწყვიტოს?



ხვალ ინგლისში ძველთაძველი დერბი: „ტოტენჰემი“ „არსენალს“ დაუხვდება

# ძველით ახალ წელს ძველი ახალი ბიჭები გამოიცდებიან

## ლოკომოტივი ჯანაშიას ორშაბათს იტყვის

**ავად თუ კარგად,** საქართველოს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასრულდა და გუნდებმაც ამოისუნთქეს. გაჭირვებულებმა ბურთსაც უგანეს უკვე და ახლა მომავალს იოტისოდენა იმედითლა შეჰყურებენ. შედარებით ძლიერნი კი ისევ გაძლიერებაზე ზრუნავენ. ასეთ დღეშია ჩემპიონობისთვის მებრძოლი თბილისის „ლოკომოტივიც“. რკინიგზელთა პერუელ მწვრთნელ ლუის ცაკარიასის დაქოქილმა გუნდმა საკმაოდ შედეგიანად იბურთავა პირველ ეტაპზე და ახლა საგაზაფხულო მატჩებისთვის ემზადება.



ზაზა ჯანაშია

ლუის ცაკარიასმაც თავისი ფეხბურთელები აათვალიერ-ჩაათვალიერა, სხვა ქართულ კლუბებსაც გადახედა და ხელმძღვანელობასაც უთხრა, აბა, ერთი სხვაგან განათხოვრებული ჩვენი ფეხბურთელები მანახეთო.

ამგვარად, გორის „დილაში“ მოთამაშე მერაბ ძოძუაშვილი და ბოლნისის „სიონის“ სამეული — დავით დათვაძე, დავით ბაქრაძე და დავით გოდერძიშვილი რკინიგზელებს დაუბრუნდნენ, თუმც მათი საკითხი გადაწყვეტილი არაა.

პერუელი სპეციალისტი ამ ფესბურთელებს დააკვირდება და თუ მოიწონა, გუნდში დაიტოვებს. პირველი გამოცდა კი ძველ ახალ რკინიგზელებს დღეს ვარჯიშზე მოუწევთ, ორმხრივ თამაშში.

„ლოკომოტივის“ მენეჯერ ლევან ყიფიანის თქმით, ძოძუაშვილი-ბაქრაძე-დათვაძე-გოდერძიშვილის ოთხეულის გასინჯვა ამით არ ამოიწურება და მათ 14 იანვარს ქუთაისის „ტორპედოსთან“ ამხანაგურ მატჩშიც გამოცდიან.

— „ტორპედოსთან“ შეთანხმება უკვე მიღწეულია და 14-ში ამხანაგურად ვითამაშებთ. ამ მატჩში ლუის ცაკარიასს ახალწვეულებზე დაკვირვების კარგი საშუალება ექნება — გვითხრა გუშინ ლევან ყიფიანმა.

ამასობაში გაურკვეველია მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ თბილისურში განათხოვრებული ზაზა ჯანაშიას ბედი. როგორც შევიტყვეთ, ამ თემაზე რკინიგზული კლუბის თავკაცები კრებაზე იმსჯელებენ და ორშაბათს საბოლოო პასუხსაც გააცხადებენ.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# უეფამ პატარა ევროპელები ნაადრევად დაანაწილა

**გუშინ** შვეიცარიულ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში ცხრამეტწლამდელთა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა მოეწყო. მოგეხსენებათ, გაისად, 2-6 მაისს, იტალია ცხარმეტწლამდელთა 2003 წლის ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ციკლს უმასპინძლებს, სადაც „სკუადრა აძურასთან“ ერთად ქართველები, ლატვიელები და ჩრდილოირლანდიელები ითამაშებენ. ოთარ კორღალიძის შეგირდების კალენდარი ასეთია: 2 მაისი — ჩრდილოეთ ირლანდია, 4 მაისი — იტალია და 6 მაისი — ლატვია.

მანამდე კი უეფამ კიდევ ერთი წლით წინ გაიხედა და 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად მებრძოლი გუნდები 12 ჯგუფში გაანაწილა. საქართველო C ჯგუფში მოხვდა, სადაც მომავალ მეტოქედ ისევ იტალია ერგო, ასევე წლეულს თბილისში 2003 წლის შესარჩევ ეტაპზე ნასტუმრები ბელგია და ესტონეთი. კალენდარი ჯერჯერობით არ დადგენილა. არც მასპინძელი ქვეყნის ვინაობაა ცნობილი.

ამავდროულად ჩატარდა 17-წლამდელთა 2003 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა. X1 ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად ითამაშებენ: თურქეთი, უელსი და აზერბაიჯანი.

**ბაჩა ზალამბერიძე**

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა და მწვრთნელი იგო შუშაკი დღეს, 12 საათზე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გამართავენ ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემაჯამებელ პრესკონფერენციას.**

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. XVI ტური**

გრონინგენი 3:2 როდა

**II დივიზიონი. XVI ტური**

ჰელმონდი 3:4 ემენი

ჰერაკლესი 0:0 ვეენდამი

მაასტრიხტი 2:3 დენ ბოსხი

კამბური 1:6 იგლსი

სიტარდი 2:3 დორდრეხტი

დენ ჰააგი 5:1 ვენლო

ოსი — ვოლენდამი გადაიდო

ეინდჰოვენი 2:0 სპარტა

### ბელგია

**I დივიზიონი. XVI ტური**

ლოკერენი 0:1 მონსი

სენტ ტრუიდენი 0:1 გენკი

### გერმანია

**II ბუნდესლიგა. XVII ტური**

ფიურტი 0:0 კარლსრუე

ზანკტ პაული 1:4 ალემანია

მაინცი 3:1 ბრაუნშვაიგი

კიოლნი 1:0 ბურგჰაუზენი

### იტალია

**სერია B. XVI ტური**

კალიარი 1:0 სამპდორია

### პორტუგალია

**I ლიგა. XIV ტური**

სიტუბალი 2:4 ვარზიმი

### თურქეთი

**XVII ტური**

გაზიანთეფი 1:2 გალათასარაი





ოცი წლის წინათ, 13 დეკემბერს ვიტალი დარასელია დაიღუპა.

რამდენი წელიწადიც არ უნდა გავიდეს, ეს უბედური თარიღი გულშემატკივრის გულშია ჩაბეჭდილი. საერთოდ კი კარგი, მზიანი, გემრიელი 13 დეკემბერი არ არსებობს. ეს არის ტალახიანი, ცივი დღე და ამ დღეს აუცილებლად გაგახსენდება ვიტალი დარასელია.



ვიტალი დარასელია ახლა ორმოცს გადაცილებული კაცი იქნებოდა. მაშინ კი ბიჭი იყო. ის იყო ბიჭი-ვარსკვლავი, რომელმაც მოასწრო და ბავშვობიდან ითამაშა დიდი ფეხბურთი. მოასწრო და შექმნა ისტორია. ეს მან გაიტანა საქართველოს ისტორიაში უდიდესი გოლი. ეს გოლი ახსოვს ყველას, მაგრამ ვიტალი არ იყო მხოლოდ ეს გოლი. ამ გოლის უკან, იმ თასების თასის უკან ნამდვილი ვარსკვლავი იდგა. ვარსკვლავი არა იმიჯით, ქცევითა და ფულით, არამედ თავისი ხელობით.

ხელობას კი ფეხბურთი ერქვა.

ვიტალი დარასელია ფეხბურთისთვის იყო დაბადებული და თითქოს ფეხბურთში ტვირთისთვის მოსულიყო. მას შეეძლო ეტვირთა ძალიან ბევრი: ერთი, ორი, სამი კაცისა. უკვე ნატვირთიც ჰქონდა. არ გაურბოდა ტვირთს და მომავალშიც ბევრი მოუწევდა, რადგან იმ 13 დეკემბრის წინ აშკარად ჩანდა, ეს უთქმელი, კეთილი ვარსკვლავი მისი განახლებული გუნდის მთავარი იმედი უნდა ყოფილიყო.

ვიტალი დარასელია ზუსტად ოცი წლის წინათ დაიღუპა.

არც მანამდე, არც მერე, ჩვენს ფეხბურთს არ ჰყოლია ფეხბურთელი, რომელმაც ამგვარი სიხარული და ამგვარი დარდი მოუტანა.

# გაგრელებმა ნაომარი თასი დაიბრუნეს



თამაზ კუჭუხიძე

10 წლის წინ საქართველოსთვის დაკარგული აფხაზეთი ქართული ფეხბურთის სამჭედლო იყო. გაგრის ცნობილ საწვრთნელ ბაზებზე არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი აღუზრდიათ.

სწორედ იქ გაგრაში მუშაობდა და თავის ცოდნა-გამოცდილებას უზიარებდა ბავშვებს ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული თამაზ კუჭუხიძე. მას დიდად ემადლიერებოდნენ იმ საქმისთვის, რომელსაც მშვენივრად უძღვებოდა. სამწუხაროდ, ტრაგიკულმა შემთხვევამ თამაზ კუჭუხიძის სიცოცხლე შეიწირა. ფეხბურთის გაგრელმა ქომაგებმა, მეგობრებმა, მისი სახელის უკვდავსაყოფად თასი დააწესეს, რომელიც 1986 წლიდან თამაშდებოდა. მერე იყო ომი და ფეხბურთი ვილას ახსოვდა. ტყვიების წვიმაში თასის გადამალვა მაინც მოახერხეს.

შარშან კოტე კუჭუხიძის, სერგო ჩოგოვაძისა და ერთ-ერთი გაგრელი გულშემატკივრის ძალისხმევით ომგადახდილი, გადამალული, ოდნავ დაზიანებული თასი გაგრაში მონახეს, თბილისში ჩამოიტანეს და ცხრა წლიანი პაუზის შემდეგ თამაზ კუჭუხიძის სახელობის ტურნირის ჩატარება შესაძლებელი გახდა— გამარჯვებული „დინამო“ იყო.

რიგით მერვე გათამაშებას წლეულს „ქარიშხალას“ კომპლექსმა უმასპინძლა, ომგამოვლილ თასს მეორედ დაეუფლა 1994-1995 წლებში დაბადებული დინამოელები.

ტურნირის ორგანიზატორი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე იყვნენ.

# დინამოს პროფესორი
## გზა ზამერამდე და ეგვიპტემდე

*გიორგი შაშიაშვილი განსაკუთრებული ფეხბურთელია. იმით, რასაც ფეხბურთის ალღოიანი თამაში ქვია, ყველა როდი დაიტრაბახებს – ასეთი რამ კი ძალიან ფასობს.*

*შაშიაშვილს ალღოსა და ინტელექტის ხარჯზე შეუძლია ყველაფერს კომპენსირება გაუკეთოს.*

*მინდორზე და მის გარეთ ქცევაზეც ვთქვათ – შაშიაშვილი ამითაც სამაგალითოა – და საერთოდ, „დინამოს" კაპიტანი ძალიან სათნო და გაწონასწორებული პიროვნებაა – ის თუნდაც ამიტომაა ნამდვილი კაპიტანი.*

*შაშიაშვილმა ნაკრებშიც წარმოაჩინა თავი და შეიძლება ითქვას, დაიმკვიდრა კიდეც ადგილი – მისებრ ალღოიანი მცველი ლეგიონერებშიც ძნელად მოგვეპოვება. შაშიაშვილი უკვე პროფესორია – თბილისის „დინამოს" და ეროვნული გუნდის ლიბერო ასეთ ეპითეტსაც იმსახურებს.*

*დანარჩენს კი ინტერვიუში წაიკითხავთ*

— სეზონის პირველი ეტაპი „დინამოსთვის" შედეგიანი იყო — ასე ვთქვათ, ზამთრის ჩემპიონები გავხდით. გვქონდა ჩავარდნები, უახლოეს მდევარ „ტორპედოს" შინ ვერ მოვუგეთ და მხოლოდ ქულით ვუსწრებთ, მაგრამ მაინც ხომ პირველ ადგილზე ვართ. „დინამოს" ყველა ფეხბურთელმა წინა სეზონთან შედარებით მკვეთრად მოუმატა თამაშს, მაგრამ ისეთი დონის გუნდი ჯერაც არ გვყავს, ჩემპიონთა ლიგაზე რომ მოვხვდეთ. თუმცა შეკრებაზე ძალიან სერიოზულად მოვემზადებით და ალბათ, ერთი-ორი ფეხბურთელითაც გავძლიერდებით — ისინი ქართველები იქნებიან და არა ლეგიონერები, ასეთია იგო შუშაკის პოზიცია. ამბობს, აქ ისეთ ფეხბურთელებს ვხედავ, უცხოელების მოწვევა საჭირო არ არისო. ისე კი, ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრას იღბალიც უნდა, იმასაც გააჩნია, თუ რა გუნდები შეგვხვდებიან საკვალიფიკაციო ეტაპზე.

**— გასაგებია, მაგრამ შენი ლაპარაკიდან ისე ჩანს, რომ „დინამოს" უკვე განაღდებული აქვს ჩემპიონობა...**

— არა, რა მოხდება, ახლა ვერავინ იტყვის, ყველაფერი მარტში გამოჩნდება. თუმცა როგორც უნდა იყოს, უეფას თასზე მაინც გამოვალთ, მაგრამ ჩემპიონობა ყველა დინამოელს ძალიან გვინდა — ორი წაგება ჩვენთვის დიდი ტრავმა იყო, მაგრამ ეს ფსიქოლოგიური ტვირთი უკვე მოვიშორეთ — საჩემპიონო გუნდი ვართ და პირობებიც ყველაზე კარგი „დინამოს" აქვს.

**— რას ნიშნავს შენთვის ის, რომ თბილისის „დინამოს" კაპიტანი ხარ?**

— ძალიან ბევრს, სულ სხვანაირი მოვალეობა მაკისრია გუნდის წინაშე. შუშაკს ფაქტობრივად, ჩემი მეშვეობით აქვს ურთიერთობა ფეხბურთელებთან. მე ოდნავი მოდუნების უფლებაც არ მაქვს. როგორც შენ მოიქცევი, ისე მოიქცევიან დანარჩენი ფეხბურთელებიო, მითხრა შუშაკმა.

მეორეს მხრივ, „დინამოს" ისეთი კაპიტნები ჰყავდა, რომ მე მათ თავს ვერ გავუტოლებ — „დინამო" ჩემი კაპიტნობისას საქართველოს ჩემპიონიც არ გამხდარა. მოკლედ, ჯერ უნდა გავჩემპიონდეთ, მერე ევროტურნირებზე რამდენიმე ეტაპი გავიაროთ — ამის შემდეგ შემეძლება ვთქვა, ჩემი კაპიტნობისას „დინამომ" რაღაცას მიაღწიაო.

**— შუშაკმა შენზე თქვა, ერთი წლის შემდეგ მზად იქნება რომელიმე წამყვანი ევროპული ლიგის გუნდში გადასასვლელადო. ეთანხმები მწვრთნელის აზრს, თუ ფიქრობ, რომ ახლავე შეგიძლია უცხოეთში თამაში?**

— არ არსებობს ისეთი ფეხბურთელი, საკუთარ თავში არ იყოს დარწმუნებული. მაგრამ თუ „დინამომ" არ მიაღწია წარმატებებს და ევროტურნირებზე სამი ეტაპი მაინც ვერ გადალახა, ფეხბურთელმა, ალბათ, არ უნდა იფიქროს ევროპული დონის გუნდში გადასვლაზე. მართალია, ნაკრებში რამდენიმე კარგად ჩატარებული მატჩითაცაა შესაძლებელი, რომ უცხოურმა კლუბებმა შეგამჩნიონ, მაგრამ ალბათ სჯობს, ერთი წლით მოვიცადო.

**— და თუ ვერ მიაღწია „დინამომ" წარმატებას?**

— „დინამოსთან" ისედაც მეწურება კონტრაქტი ერთ წელიწადში და თუ წარმატებებმა დააყოვნა, ვეცდები, დავტოვო გუნდი. წავალ იქ, სადაც უფრო მაღალი დონე და უკეთესი პირობები იქნება. მაგრამ ისიცაა, რომ უცხოელი მწვრთნელის მოსვლით „დინამოში" სულ სხვა ვითარებაა — სხვა განრიგი გვაქვს. ჩემპიონატის პირველი ეტაპი დამთავრდა, მაგრამ მყისვე არ გავუშვივართ შვებულებაში შუშაკს — ფორმულა I-ის რბოლა რომ მთავრდება, პილოტები კიდევ ორ წრეს მაინც არტყამენ და უცბად არც ჩვენ უნდა გავჩერდეთო. შუშაკი რომ არა, შესაძლოა, ახლა აღარც ვყოფილიყავი დინამოელი.

**— ფაქტია, უნაკლო არც შუშაკის „დინამოა" — რამდენიმე ფეხბურთელს ნამდვილად უჭირს ახალ პოზიციაზე თამაში და ზოგი ბოლომდე ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს — თანაც „დინამოს" უკვე ტრადიციულად უჭირს „ვიტ ჯორჯიასთან" თამაში.**

— „ვიტ ჯორჯია" ჩვენთვის მართლაც უხერხული მეტოქეა. ამ გუნდს ვერაფერი მოვუხერხეთ. მაგრამ, ვფიქრობ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ყველა ჩემპიონატში ასეა, რომელიმე წამყვან გუნდს უხერხული მეტოქე ჰყავს.

**— აბსოლუტური ლიბერო ხარ, მაგრამ ბოლო დროს შეტევებში, ფაქტობრივად, აღარ ერთვები. რითია ეს გამოწვეული?**

— სამი მცველით ვთამაშობთ და პოზიციური შეცდომა თუ დავუშვით, ჩათვალეთ, რომ მეტოქეს ჩვენ მეკარესთან პირისპირ შევატოვებთ. თანაც მწვრთნელის დავალებაცაა, რომ წინ არ წავიდე. რა თქმა უნდა, ყველა ლიბერო ერთვება-ხოლმე შეტევაში, მაგრამ ამას გამბედაობის გარდა თანაგუნდელებთან შეთანხმება უნდა.

**— ლიბეროთაგან ყველაზე უფრო ვინ მოგწონს?**

— ალესანდრო ნესტა. მე მას, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი, ისე ვაკვირდები, ვცდილობ, მისგან რაღაც ვისწავლო — მან ხომ ძალიან კარგად იცის, როდის რა უნდა გააკეთოს. ახლახან „დორტმუნდი" — „მილანის" მატჩში ნესტამ ფეხი არ გაანძრევინა იან კოლერს.

**— „დორტმუნდი" ახსენე და ნუთუ მათიას ზამერს სხვაზე ნაკლებ ლიბეროდ თვლი?**

— თუ ყოფილ ფეხბურთელებსაც ვიგულისხმებთ, ზამერის დარი უკანა მცველი მართლა არ ყოფილა — მან ევრო-96-ზე თამაშები მოიგო, ზამერისნაირი ფეხბურთელები იშვიათად იბადებიან.

**— ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე უფრო რომელ ფორვარდის წინააღმდეგაა ძნელი თამაში?**

— ძნელია სწრაფი თავდამსხმელების წინააღმდეგ თამაში, ტორპედოელი ზაზა ზირაქიშვილი რომ არის, ისეთებთან — ასეთ ფორვარდებთან დიდი ყურადღება მართებთ მცველებს. რთულია ფილიპო ინძაგის დარი ფეხბურთელების ამოკეტვა, რომლებიც სულ მოძრაობენ. ასეთები ჩვენში გიორგი ადამია და ლევან მელქაძე არიან.

**— ჯერ კიდევ წინა სეზონში, როცა შუშაკის მოსვლით „დინამომ" მკვეთრად მოუმატა, გუნდის სიძლიერეს პირველ რიგში დაცვის კარგი თამაში განაპირობებდა. როგორ ფიქრობ, გუნდის თამაშის ორგანიზება დაცვიდან იწყება?**

— მე ბურთს ალეკო გოგობერიშვილს ვაწვდი და „დინამოს" შეტევებიც უმეტესწილად ასე იწყება — გოგობერიშვილი ძალიან გვეხმარება მცველებს თამაშის ორგანიზებაში. გეთანხმებით, რომ „დინამოს" სიძლიერე დაცვის ხაზის მობილურობით იყო გამოწვეული, მაგრამ ახლა ძალიან ძლიერი ნახევარდაცვა გვყავს და რატი ალექსიძის მოსვლითაც ყოველგვარი პრობლემა მოგვეხსნა.

**— ორივე ფეხით კარგად თამაშობ...**

— ჰო, მაგრამ ცაციათი გრძელი პასის გაკეთება მაინც მიჭირს. თამაშის დროს უკანა მცველს კი საერთოდ, ყველაფრის გამოსწორება მართებს, ათი თვალი უნდა გქონდეს და თუ მოგატყუეს, მთელი გუნდი მოტყუვდება — თუ ლიბერო შეცდა, იმედი აღარაფრისაა. უკანა მცველისთვის მთავარი, ალბათ, მაინც ალღოა, ორივე ფეხით კარგი თამაში კი ძალიან მნიშვნელოვანი.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. შენ და ალეკო ამისულაშვილი უკვე გუნდის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებად ითვლებით, თუმცა ალექსანდრე ჩივაძე რუსეთთან მატჩამდე მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში თუ გენდობოდათ.**

— მე და ამისულაშვილს გვერდში უმაღლესი დონის ფეხბურთელი კახა კალაძე გვყავს, ის გვკარნახობს და გვაზლევს კიდეც. ნაკრებში თავს დაძაბულად არ ვგრძნობ. მე და ამისულაშვილი კიდევ მოვუმატებთ თამაშს. რუსეთთან მატჩისას ყურადღება არ მიმიქცევია იმაზე, თუ ეს რა მნიშვნელობის თამაში იყო, არ ვნერვიულობდი, მოედანზე ძალიან მშვიდად გავედი — ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა ასეთ დროს მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობ.

**— ჩივაძემ რა დარიგება მოგცა?**

— მითხრა, ოდნავ უკნიდან ითამაშე, ყველაფერი კარგად უნდა დაინახო, თუ ბურთის მოშორებაზე მიდგა საქმე, ეს არ ითაკილო, დაზღვევაზე ყურადღებით იყავი, ალღო უნდა გქონდეს და თანაგუნდელებს უნდა უკარნახოო.

**— ფეხბურთის გარდა ყველაზე უფრო რა გიყვარს?**

— ისტორია, არქეოლოგია მიტაცებს, ფეხბურთს თავს რომ დავანებებ, შესაძლოა, ამის გულისთვის სადმეც კი წავიდე, ვთქვათ, ეგვიპტეში. მიყვარს მანქანაც — მანქანას სხვანაირად, განსაკუთრებულად ვუყურებ. მიყვარს კალათბურთის თამაში, კარგი სპორტია რაგბიც, მაგრამ ყველაზე მაგარი ფეხბურთია — წარმოიდგინეთ, რომ რაღაც უნდა გააკეთოთ, მაგრამ ხელებით კი არა, ფეხებით.

**— ვიცით, რომ კიდევ სუნამოები და ქართული ესტრადა გიყვარს.**

— ჰო, სუნამოები ვიცი... ეგრეა, შემიძლია მაღაზიაში შევიდე და ერთბაშად ოთხი სუნამო ვიყიდო. ქართული ესტრადა კი, ვფიქრობ, წინ წავიდა. ჩვენი შემსრულებლებიდან ლელა წურწუმია მომწონს. უცხოელთაგან — უიტნი ჰიუსტონი და მერაია ქერი.

**— თბილისის „დინამოს" თუ აქვს რამე თილისმის მაგვარი.**

— დინამოელებს მაისურის საყელო აქვთ-ხოლმე აწეული, მე კი სულ იმას ვცდილობ, გეტრები მუხლის ზემოთ ავიწიო.

**— შენი მეუღლე „დინამოს" ყველა საშინაო მატჩს ესწრება...**

— როცა მეუღლე ტრიბუნიდან მიყურებს, ეს მართლაც დიდი შეგრძნებაა ჩემთვის, სტიმულს მაძლევს და არ მსურს შევრცხვე მის წინაშე — მინდა ყოველი მატჩის შემდეგ მითხრას, მაგრად ითამაშეო.

**დავით თავართქილაძე**





გიორგი შაშიაშვილი, მისი მეუღლე ნათია და ვაჟი სანდრო



მაია ახალაძის ფოტო

გიორგი შაშიაშვილი სამხრეთ აფრიკასთან თბილისურ მატჩში

---

სვეტი

## წითელი ბურთი

ამ კვირაში, რახანლა თოვლი შემოგვაწვა, გორში წითელი ბურთით უთამაშიათ ფეხბურთი, რაც თავისთავად მისასალმებელი ამბავია. აბა, ვინ გაიხსენებს, საქართველოში ოდესმე წითელი ბურთით ეთამაშოთ? ნათქვამია, ბურთი იმიტომ თუ წითლდება, რომ მინდორი თეთრდებაო, ხოლო თეთრ მინდორზე ნამდვილი ფეხბურთი არ გამოდისო.

ლამაზი ალბათ არ გამოდის, თორემ ფეხბურთი ფეხბურთია და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც კარგ ამინდში და მზეში უნდა ითამაშო. მით უმეტეს, რომ ფეხბურთი სწორედ სუსხიან ადგილებში მოიგონეს და არა კოპაკაბანაზე. ფეხბურთი ხომ პლაჟის ფრენბურთი არ არის. უფრო მეტიც, სადარბაზო ვითარება დამთრგუნველად მოქმედებს ამ თამაშზე. დანამდვილებით არის ცნობილი, რომ არც ფეხბურთელებს და არც მწვრთნელებს არ უყვართ, როცა თანამედროვე სტადიონს უამინდობის შემთხვევაში სახურავს გადააფარებენ ხოლმე. არადა, ეს ახლებური სახურავები სწორედ იმისთვისაა, რომ თამაში უკეთეს ბუნებრივ პირობებში ჩატარდეს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ოდესღაც ყოველი თამაში: კალათბურთი, ჰოკეი და სხვაც ბევრი ღია ცის ქვეშ იმართებოდა (კალათბურთის საკითხი ძველ თბილისელებსაც კარგად ეხსომებათ, ჰოკეისი კი ძველ მონრეალელებს) და მერელა შევიდა ჭერქვეშ. ფეხბურთი ჭერქვეშ შევიდა მხოლოდ საბჭოთა კავშირში და ის სულაც არ იყო კარგი ფეხბურთი. რაღაც სხვა თამაში იყო.

ანუ ფეხბურთი არ შევიდა დარბაზებში და არა მაინცდამაინც იმიტომ, რომ დიდ მოედანზე ტარდება. ასე თუ შევხედავთ, ამერიკული ბურთაობა კარგახნის შესულია ჭერქვეშ. წითელი ბურთი ერთგვარი სიმბოლოა იმისა, რომ ფეხბურთი ბუნებაშია სათამაშო. ძველად ჭყეტელა ბურთები დიდად არ იყო მოდებული ქვეყანას, ბურთები საერთოდ არ იყო აგრე მოხატული და თასმებითაც იკრებოდა, მაგრამ მაშინაც, ისევე როგორც ახლა, თამაშის ჩატარება-არჩატარებას ერთი უბრალო წესით შეიტყობდნენ: ბურთს მიწაზე დააგდებდნენ და თუ ოდნავ მაინც ახტებოდა, იტყოდნენ, უნდა ვითამაშოთო.

დღეს ეგებ სულელურადაც ჩანს ეს წესი, რა გახდა ფეხბურთი ასეთი, რომ წუნწუხ-თხლეშშიაც არ ითამაშონ, მაგრამ ფეხბურთის მრავალ გემოთაგან ერთ-ერთი ესეცაა ფეხბურთი ამინდის მიუხედავად ითამაშება. ასევეა მისი ძმობილი რაგბიც, ოღონდ კი ფეხბურთში მაინც მეტი ჭირი შემოდის უამინდობის დროს.

ნისლი, წვიმა, ყინვა, თოვლი, ქარბუქი: თამაში უნდა ჩატარდეს. თამაში უნდა დამთავრდეს, თუ ბურთს ოდნავ მაინც შეუძლია კოტრიალი. ამ კვირაში ბარსელონაშიც კი გადაიდო თამაში, რადგან „კამპ ნოუზე" ტბა დადგა. მაგრამ ორი წლის წინათ, პერუჯაში პიერლუიჯი კოლინამ არაფრით შეწყვიტა გაზაფხულის თქეშით ჩამბალი თამაში იჭაურებსა და „იუვენტუსს" შორის, რაც სკუდეტოს დაკარგვად დაუჯდა „ბებერ ქალბატონს".

ეჰ, რა არ მომხდარა წვიმაში, თოვლსა და ტალახში. ხოლო როცა თამაში გადაუდიათ, არაფერი მომხდარა.

ამიტომაც, კარგია, რომ გორში წითელი ბურთით ითამაშეს. ჩვენში ხომ თითქმის გადაეჩვიენ უამინდობაში თამაშს, რისი ცოდნაც ისეთივე საჭიროა ფეხბურთელისთვის, როგორც სხვა სათამაშო ხერხები.

# უეფას თასი 2002-2003. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

UEFA CUP



ლიონი — დენიზლისფორი. თურქებმა კარი მედგრად დაიცვეს და სენსაციაც გამოაცხეს

**ლაციო** (იტალია) 0:1 **შტურმი** (ავსტრია) (3:1)
0:1 საბიჩი (87)
შტურმი: ფებერი, შტრაფნერი, ნოიკირხნერი, ბოსნარი, მასუდი (მელდტი 62), კორსოში, ზაუმელი, ფეტლი (რაუტერი 74), ანგანი, საბიჩი, ჩ. ამოა (დ. მუჟირი 74)
მწვრთნელი: ფრანკო ფოდა
მსაჯი: პოლ ალერი (ბელგია)
45 000 მაყურებელი

ფულემი (ინგლისი) 0:0 **ჰერტა** (გერმანია) (1:2)

ლიონი (საფრანგეთი) 0:1 **დენიზლისფორი** (თურქეთი) (0:0)
0:1 მუსტაფა (5)

**პანათინაიკოსი** (საბერძნეთი) 1:0 ლიბერეცი (ჩეხეთი) (2:2)
1:0 ფისასი (2)

**ოსერი** (საფრანგეთი) 2:0 ბეტისი (ესპანეთი) (0:1)
1:0 ტაინიო (18), 2:0 ლაშუერი (48)

**ლივერპული** (ინგლისი) 1:0 ვიტესი (ჰოლანდია) (1:0)
1:0 ოუენი (20)

დინამო (კიევი, უკრაინა) 0:0 **ბეშიქთაში** (თურქეთი) (1:3)

ლიდსი (ინგლისი) 1:2 **მალაგა** (ესპანეთი) (0:0)
0:1 დელი ვალდესი (14), 1:1 ბაკე (23), 1:2 დელი ვალდესი (80)

**სლავია** (ჩეხეთი) 4:0 პაოკ (საბერძნეთი) (0:1)
1:0 სკაჩელი (13), 2:0 ვახოუშეკი (51), 3:0, 4:0 კუკა (89, 90)

**შტუტგარტი** (გერმანია) 1:0 ბრიუგე (ბელგია) (2:1)
1:0 გლები (90)

**ანდერლეხტი** (ბელგია) 2:2 ბორდო (საფრანგეთი) (2:0)
1:0 დინდანე (28), 2:0 იესტროვიჩი (65), 2:1, 2:2 დარშევილი (83, 90)

სელტა (ესპანეთი) 2:1 **სელტიკი** (შოტლანდია) (0:1)
1:0 ხესული (22), 1:1 ჰართსონი (36), 2:1 მაკკარტი (53)

ლანსი (საფრანგეთი) 1:0 **პორტუ** (პორტუგალია) (0:3)
1:0 რ. სონგი (28)

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 1:4 **აეკ** (საბერძნეთი) (0:4)
1:0 ბადირი (53), 1:1 კაცურანისი (56), 1:2, 1:3 ლაკისი (80, 89), 1:4 ნალიცისი (90)

**ბოავიშტა** (პორტუგალია) 1:0 პსჟ (საფრანგეთი) (1:2)
1:0 ელპიდიუ სილვა (553)

შალკე (გერმანია) 1:4 **ვისლა** (პოლონეთი) (1:1)
0:1 ჟურავსკი (39), 1:1 ბაიტო (42), 1:2 უჩე (50), 1:3 ჟურავსკი (84), 1:4 კ. კოსოვსკი (90)

# მუსტაფა

**უეფას თასის** მაძიებელი ხუთი ფრანგული გუნდიდან ოთხი გათამაშებას დაემშვიდობა. მხოლოდ გი რუს ნაწრთობმა „ოსერმა" გააღწია მერვედფინალში. მხცოვანი მწვრთნელის ბიჭებმა გულიანად ითამაშეს და სევილიელებს ზუსტად იმდენი გაუტანეს, რამდენიც სჭირდებოდათ.

მთავარი კაცი მოედანზე ჯიბრილ სისე იყო, რომელმაც თანაგუნდელები საგოლე პასებით მოამარაგა. ჯერ მისი ჩაწოდებული, მცველისგან ასხლეტილი ბურთი ჰაერში აიჭრა, დაშვებისას კი ტემუ ტაინიომ უძლიერესად დაჰკრა და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმი ახალდაწყებული გახლდათ, სისე მარჯვნიდან საჯარიმოში რომ შეიჭრა, მეურვეს გაასწრო და საჯარიმოში შეგელვებულ ლაშუერს ბურთი თავზე დაასვა. ლაშუერის დარტყმულს სტუმართა მეკარე ნახტომშიც ვერ შესწვდა.

გალაღებულმა მოხუცმა, სათადარიგოთა სკამზე რომ ცქმუტავდა, ნამატჩევს თავისებს ხოტბა შეასხა: „ეს ბრწყინვალე მატჩი მთლიანად ჩემი ბიჭების დამსახურებაა. მათ ითამაშეს ისე, როგორც მაღალი კლასის ფეხბურთელებს ეკადრებათ".

შარშან მეთექვსმეტედფინალში „ვალენსიასთან" თერთმეტმეტრიანების სერიაში დამარცხებულმა „სელტიკმა" ამჯერად ესპანური წინაღობა გაანგრია.

მატჩის დასაწყისში გუსტავო ლოპესმა სტუმარი მცველი ვალგაერენი გვარიანად შეაწუხა. ლოპესისა და ხესულის მონდომებამ „სელტიკის" მეკარეს მალევე გაუჩინა საქმე — დუგლასმა ხესულის დარტყმული კარიდან გამოიტანა.

მიმხვდურთ დაბნეულობა არ დასტყობიათ. უელსელმა ჯონ ჰართსონმა ჯანით აჯობა მცველებს, ბურთი საჯარიმოში შეიყოლა და პინტოს გაუტანა. „სელტას" ამოცანა გართულდა, მათ ისევ ორი გოლის გატანა სჭირდებოდათ. ესპანელებმა გამარჯვების მისაღწევად ყველა ხერხი სცადეს. შესვენების შემდეგ ბენი მაკკარტიმ მასპინძლები კვლავაც დააწინაურა, მაგრამ „სელტიკის" დაცვამ მეტი აღარ გაუშვა. დროდადრო ვიგოელები უხეშობასაც არ თაკილობდნენ. მატჩის მიწურულს ხუან ფრანმა მაკნამარას ხელიც წაართყა, თუმცა მსაჯმა ეპიზოდი ვერ დაინახა.

მარტინ ონილი: „ჩვენი ფანებისთვის, რომლებიც საქომაგოდ ჩამოგვყვნენ, ეს უდიდესი საჩუქარია. საკმაოდ ძლიერი გუნდი დავამარცხეთ, მეორე ტაიმში ოდნავ დაღლა დაგვეტყო, მაგრამ დაცვამ თავის საქმე ფრიადზე შეასრულა".

ძალიან ცუდად დაიწყო მატჩი მასპინძლებისთვის ლიდსში, სადაც „მალაგა" ხულიო დელი ვალდესმა მალევე დააწინაურა. ტერი ვენებლზზე ისედაც დაბოლმილმა ფანობამ კიდევ ერთი მიზეზი ნახა მწვრთნელის გასათათხად. ამ ქვეყნისკენ გული ვენებლზს ერიკ ბაკეს გოლმა მოუბრუნა. მეორე ტაიმშიც ენთო იმედის პატარა ნაპერწკალი; ოღონდ გამოხტა ისევ ხულიო დელი ვალდესი და შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე „მალაგას" გამარჯვებისა გაიტანა.

„ლიდსის" ქომაგები მწვრთნელისკენ იწევდნენ. ერთ-ერთი ძალიან აქტიური ვენებლზს ჩაუხტა კიდეც, მაგრამ დროზე გაბაწრეს.

ტერი ვენებლზი: „მხოლოდ თამაშზე ვფიქრობდი. ფანების სტვენას ყურადღებას არ ვაქცევ. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. რა თქმა უნდა, ეს სასიამოვნო არაა, თუმცა მე პროფესიონალი ვარ და მსგავს რეაქციას შევეჩვიე. შესვენების შემდეგ იმედი კიდევ მქონდა. ბოლო ოც წუთში მეტოქემ ძალიან დაგვჯაბნა, რასაც ვერაფერი დავუპირისპირეთ".

ლიდსის ფრანგ ლეგიონერ ოლივიე დაკურს მწვრთნელზე ჭორაობის გამო კლუბმა ფინანსური ჯარიმა აჰკიდა. დაკურმა კი თქვა, თქვენ არასწორად გამიგეთო, მაგრამ...

შავ ზოლზე მდგომი „ლივერპულის" გულშემატკივრებმა კი გაიხარეს. გუნდმა მერვედფინალში შეაბიჯა. მართალია, მოკრძალებული ანგარიშით დაამარცხა „ვიტესი", მაგრამ ულიეს ეს ამბავი სულაც არ აღელვებდა: „ფეხბურთელებმა საკუთარი ძალები ირწმუნეს. ისინი პროფესიონალები არიან. ვფიქრობ, ორი შეხვედრის ჯამში გასვლას ჩვენ ვიმსახურებდით".

ერთადერთი გოლი დანი მერფის პასით მაიკლ ოუენმა შეაგდო. მეორეც რომ გაეტანა, იან რაშის საევროთასო რეკორდს (20 გოლი) შესწვდებოდა, მაგრამ ამ საქმეს ალბათ მერვედფინალში გააგრძელებს.

ვიტესის მწვრთნელი მაიკ სნოელიც არ ჩანდა უკმაყოფილო: „პირველ ტაიმში, 0:0-ზე, ბობ პეეტერსს ნაღდი საგოლე რომ არ გაეცუდებინა, შეიძლებოდა, ახლა ჩვენ გვეზეიმა. მაინც თავაწეულები ვბრუნდებით შინ, რადგან „ლივერპულთან" მხოლოდ ერთი ბურთით დავმარცხდით".

არცთუ თვალსასეირო გამოდგა მატჩი ლონდონში „ფულემსა" და „ჰერტას" შორის. ბერლინელებს შინ მოგებული ჰქონდათ და მეტოქეს დაცვითი ფეხბურთი შესთავაზეს. შეხვედრის გმირად „ჰერტას" უნგრელი მეკარე გაბორ კირალი შერაცხეს. თამაშის მიწურულს მან ტრავმაც კი მიიღო, მაგრამ მწვრთნელმა მაინც არ შეცვალა.



ნამატჩევს ტერი ვენებლზისკენ გაცოფებულმა ლიდსელმა ქომაგმა გაიწია

პუუბ სტევენსი: „მაყურებელს სანახაობრივი ფეხბურთი ვერ შევთავაზეთ, რადგან ბერლინური შედეგის შენარჩუნებაზე ვზრუნავდით. კირალი შესანიშნავად გაისარჯა, გავრისკე კიდეც, როცა ტრავმირებული არ შევცვალე. მას ბოლომდე ვენდობი, თუმც ამ მატჩმა ვგონებ, ისე გადაღალა, ბუნდესლიგის მომავალ ტურში შეიძლება დასვენებამ მოუწიოს".

„იუვენტუსთან" ჯახის მოლოდინში რობერტო მანჩინიმ გუნდის დიდკაცები დაასვენა, „შტურმთან" წააგო და ნამატჩევს უკმაყოფილებას არ მალავდა: „შედეგით გაწბილებული ვარ. ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ასეთი დონის შეხვედრებს ფეხბურთელები სრული მობილიზებით უნდა შეხვდნენ, რაც დღეს ვერ დავინახე". ერთადერთი გოლი იმრე საბიჩმა „ლაციოს" სათადარიგო მეკარეს, კონჩეტის ახლოდან გაუტანა, მაშინ, როცა შეხვედრა უგოლო ფრისკენ მიექანებოდა. რომაულ მატჩს წვიმა ახლდა, რამაც იმოქმედა კიდეც მის ხასიათზე.

ნიქოზიაში, ჰაიფას „მაკაბი" ბერძნულ აეკთან ისე მალე დაწინაურდა, არიქა, სამსაც გავიტანთ და დამატებით დროში ვებ გვეშველოსო. ბადირიმ თერთმეტმეტრიანით „მაკაბი" დააწინაურა, მაგრამ სულ ეს იყო, რაც ებრაულმა გუნდმა შეძლო. შესვენების შემდეგ გოლები მხოლოდ ბერძნებს გაჰქონდათ და იმდენივე გაიტანეს, რამდენიც პირველ მატჩში.

„ანდერლეხტი" — „ბორდოს" წყვილი ბელგიაში გაიყინა. მასპინძლები თავიდან ჟირონდელებმა გვარიანად აწრეიულეს, თუმცა ტაიმის შუაწელში გოლი ბასეჯიოს პასით კოტდივუარელმა არუნა დინდანემ შეაგდო. მეორე იესტროვიჩის ანგარიშზეა. მან ულრიხ რამეს 25 მეტრიდან გაუტანა.

ფრანგებმა, ყველაფერი რომ დასრულდა, მაშინ მოინდომეს და ჟან კლოდ დარშევილის დუბლით ოდენ საპატიო ფრეს გამორჩნენ.

ვერა და ვერ წააქციეს „ბეშიქთაში". კიევის „დინამომ" და უკრაინულმა ყინვამ თურქულ „არწივს" ნისკარტი ვერ მოამტვრია. „ბეშიქთაშის" ფეხბურთელებმა კლუბის პრეზიდენტისგან მერვედფინალში გასვლისთვის კაცის თავზე 40 ათასი დოლარი ჩაიხუტეს, მირჩა ლუჩესკუს კი ლამის ძეგლი დაუდგან. კლუბს დაარსებიდან ასი წელი შეუსრულდა და თურქეთის ჩემპიონობასაც აპირებს, თან უეფას თასიც გულში ამოუჭრია.

ყველაზე მყვირალა გამარჯვება ალბათ თურქულმა „დენიზლისფორმა" მოიპოვა. მან ჯერ საფრანგეთის თასის მფლობელი „ლორიანი" ჩამოიშორა, მერე პრაღის „სპარტა", ახლა კი საფრანგეთის ჩემპიონი „ლიონიც" ზედ მიაყოლა. მეხუთე წუთზე მუსტაფა ოზქანის მიერ გატანილ ერთ გოლს „ლიონის" მთელმა სავარსკვლავომ დარჩენილ დროში ვერაფრით უპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით თავზე ასხდნენ მეტოქეს. აღსანიშნავია ერთიც, „დენიზლის" 5 საევროთასო გოლიდან ხუთივე მუსტაფა ოზქანის ანგარიშზეა. „დენიზლის" ფეხბურთელებმა, „ბეშიქთაშისგან" განსხვავებით, 6-6 ათასი დოლარი ჩაიჯიბეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## 1/8 ფინალის წილისყრა

სლავია (ჩეხეთი) – ბეშიქთაში (თურქეთი)
ჰერტა (გერმანია) – ბოავიშტა (პორტუგალია)
მალაგა (ესპანეთი) – აეკ (საბერძნეთი)
ლაციო (იტალია) – ვისლა (პოლონეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) – პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
სელტიკი (შოტლანდია) – შტუტგარტი (გერმანია)
პორტუ (პორტუგალია) – დენიზლისფორი (თურქეთი)
ოსერი (საფრანგეთი) – ლივერპული (ინგლისი)
I მატჩები – 20 თებერვალი, საპასუხოები – 27 თებერვალი

## 1/4 ფინალის წილისყრა

III წყვილის გამარჯვებული – II წყვილის გამარჯვებული
I წყვილის გამარჯვებული – IV წყვილის გამარჯვებული
VI წყვილის გამარჯვებული – VIII წყვილის გამარჯვებული
VII წყვილის გამარჯვებული – V წყვილის გამარჯვებული
*I მატჩები – 13 მარტი, საპასუხოები – 20 მარტი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება ტერმინატორს და წითელ ბარონს!

## კრულ იყოს ავრორა და ადოლფ ჰიტლერი



ავსტრიის ლობისტი არნოლდ შვარცნეგერი

**მაშ ასე,** შვეიცარია და ავსტრია! ევრო 2008-ის მასპინძელთა ვინაობა ცნობილია. ცენტრალური ევროპის ამ ორ განვითარებულ ქვეყანაში ასეთი დიდი სპორტული შეჯიბრება 50 წელიწადია, არ გამართულა, ასე, რომ...

„ძალიან ბედნიერები ვართ. ეს შეჯიბრება შვეიცარიას დიდ სიკეთეს მოუტანს. აქამდე რამდენჯერმე მოგვეცარა ხელი, ზამთრის ოლიმპიადასაც ვერ ვუმასპინძლეთ, ახლა კი დიდი სიხარულის საბაბი მოგვეცა" — იღიმებოდა შვეიცარიის მთავრობის პრეს ატაშე ჰანსრუდი მოსერი.

„ფეხბურთი ევროპაში ყველაზე პოპულარული სახეობაა. ასე რომ, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა ჩვენს ქვეყანას დიდ პრესტიჟს მოუტანს" — ეს სიტყვები კი ჩვეულებრივმა შვეიცარიელმა ქომაგმა, მავანმა როჯერ ჰუბერმა წარმოსთქვა. ერთი სიტყვით, ამაზეა ნათქვამი, ერი და ბერიო, ყველას ერთნაირად უხარია.

წინასწარი დათვლების თანახმად, შვეიცარიისა და ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციებს შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად დაახლოებით 170 მილიონი შვეიცარიული ფრანკის დახარჯვა მოუხდებათ, თუმცა დიდი სპორტული მოვლენა იმისაა, რომ მოგება დატოვოს. ტურიზმი, ტელეტრანსლაციები... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2008 წლისთვის საგანგებოდ აშენებული ნაგებობები, მოწყობილი ინფრასტრუქტურა ამ ქვეყნებში არ დარჩება?

ბედნიერი იყო ავსტრიის ტურიზმის სააგენტოს წარმომადგენელი კრისტინა ლოზენპამერი: „ასეთი შესაძლებლობა საუკუნეში ერთხელ თუ მიეცემა ქვეყანას".

შევახსენებთ, რომ ავსტრიამ 1976 წელს ზამთრის ოლიმპიადას უმასპინძლა. ეს ინსბრუკში მოხდა, ხოლო შვეიცარია 1954 წელს ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი იყო.

ახლა სამუშაო ადგილებს დახედეთ. ის, რომ შვეიცარია და ავსტრია 2008 წლის ჩემპიონატისთვის უნდა მოემზადონ, ამ ქვეყნებში დაახლოებით 7 ათასი სამუშაო ადგილის გამოჩენას ნიშნავს. მარტო ტურიზმიდან კი 152 მილიონი ევროს მოგებაა შესაძლებელი...

გავიხსენოთ, რომ გამარჯვებულებმა შოტლანდია-ირლანდიას, ბოსნია-ხორვატიას, საბერძნეთ-თურქეთს, ოთხ სკანდინავიურ ქვეყანას, რუსეთსა და უნგრეთს აჯობეს.

ამთავითვე ცნობილია (აბა, განაცხადს ისე ვინ მიიღებდა), რომ შეხვედრები გაიმართება შვეიცარიის ქალაქებში — ბერნში, ჟენევაში, ბაზელში, ციურიხში და ავსტრიის ქალაქებში — ზალცბურგში, ინსბრუკში, ვენასა და კლაგენფრუტში.

ავსტრიის ნაკრების მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ჰანს კრანკლი:

„ბოლო 50 წელიწადია, ავსტრიული ფეხბურთის სასარგებლოდ ასეთი გადაწყვეტილება არავის მიუღია. ამაზე უკეთესი ვერაფერი მოხდებოდა".

საგულისხმოა, რომ ავსტრიელთა მხრიდან განაცხადს მხარს უჭერდა (თანამედროვე ტელეგამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ლობირებას უწევდა) მსახიობი არნოლდ შვარცნეგერი, ხოლო შვეიცარიელთა მხრიდან, მათ ქვეყანაში მცხოვრები გერმანელი, ფორმულ 1-ის ვარსკვლავი მიხაელ შუმახერი.

ახლა, ერთი წამით, ევრო 2000-ს გადავხედოთ: მოგეხსენებათ, ეს შეჯიბრებაც ერთდროულად ორ ქვეყანაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში გაიმართა და ჯამურად 18 მილიონი ევრო მოგება მოიტანა.

ცნობისთვის: ევრო 2008-ის სპონსორი „კრედიტ სვის გრუპი" იქნება.

ხოლო ის, რასაც ქვევით მოგახსენებთ, 1917 წელს მოხდა. ეს ის წელიწადია, როდესაც დაწყევლილმა „ავრორამ" პეტერბურგში იქუხა, ევროპის ქვეყნების დიდი უმეტესობა პირველ მსოფლიო ომს ჰყავდა გამოთაყვანებული, ავსტრიამ და შვეიცარიამ კი ისტორიაში პირველად, ერთმანეთთან ფეხბურთი ითამაშეს. ავსტრიამ 1:0 გაიმარჯვა.

ეს თამაში შობის დღესასწაულს მიეძღვნა (ორი დღით ადრე გაიმართა), შობის მეორე დღეს კი გუნდები ერთხელაც შეხვდნენ ერთმანეთს და შვეიცარიამ 3:2 მოიგო.

ასე დაიწყო ორი ქვეყნის საფეხბურთო ჯიბრის ამბავი, რომლის მწვერვალიც 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიპყრეს — ავსტრიამ შვეიცარიას 7:5 მოუგო და ეს მატჩი დღემდე რჩება მუნდიალების ყველაზე უხვგოლიან მოვლენად.

ავსტრიული ფეხბურთის ოქროს ხანად გასული საუკუნის 30-იანი წლები ითვლება, როდესაც ჰუგო მეისლის შექმნილი ჯადოსნური ნაკრები იმ ძალისა იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც კი ეთამაშებოდა.

იმდროინდელ ავსტრიელ ვარსკვლავთა შორის ქაღალდის კაცად წოდებული მატიას ზინდელარი გამოირჩეოდა, და ვინ იცის, რა სიმაღლეებს მიაღწევდნენ, ან როგორ განვითარდებოდნენ ამ ქვეყნის სპორტსმენები, შერეკილი ადოლფ ჰიტლერი და მისი მესამე რაიხი რომ არა. სისხლიანმა ნაცისტებმა ავსტრიის ნაკრების ბევრ ფეხბურთელს მოუღეს ბოლო, რადგან მათ ებრაული ფესვები ჰქონდათ.

მოგვიანებით, 50-იან წლებში ქვეყანამ ცოტა წამოჰყო თავი, თუმცა დღეს ავსტრიული ფეხბურთი ელიტარული რომ არ არის, ყველასთვის ნათელია.

რაც შეეხება შვეიცარიას, იგი მსოფლიოს ჩემპიონატებში 1930-1966 წლებში რეგულარულად მონაწილეობდა, მას მერე კი მხოლოდ ერთხელ მოახერხა შესარჩევი ეტაპიდან გაღწევა. ევროპის ჩემპიონატზეც მხოლოდ ერთხელ, 1996 წელს ითამაშეს შვეიცარიელებმა.

წლეულს ამ ქვეყნის გუნდი, „ბაზელი" აქტიურობს. იგი ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავიდა და, მართალია, პლეიოფის სტადიას, ალბათ, ვერ მიაღწევს, მაგრამ „ლივერპულთან" და „ვალენსიასთან" შეხვედრებით ფრიად დაგვამახსოვრა თავი.

„ბაზელის" მწვრთნელი კრისტიან გროსი:

„ჩვენც ჩინებული წელიწადი გვაქვს და ნაკრებსაც. შვეიცარიული ფეხბურთის კლასი აშკარად მაღლდება".

**ბაჩუნა ძიძია**



მიხაელ შუმახერმა უეფას შვეიცარია ურჩია



# ალო, რომია?

## ბატისტუტას სიამოვნებას პირდებიან

**სწორედ** იმ საღამოს, როდესაც „რომამ" „აიაქსთან" სტუმრად ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია, ამსტერდამის ერთ-ერთ სასტუმროში ინგლისური „ვესტ ჰემის" წარმომადგენლებს რომაელთაგან „აიაქსის" კარში ერთადერთი გოლის გამტან გაბრიელ ბატისტუტას აგენტთან ჰქონდათ მოლაპარაკება.

ინგლისური მედიის ცნობით, „ვესტ ჰემის" აღმასრულებელ დირექტორ პოლ ოლდრიჯს ბოლო კვირის მანძილზე „რომასთან" მუდმივი სატელეფონო კონტაქტი აქვს. ამ ყველაფერს ხელს ფეხბურთელის სურვილიც უწყობს. 33 წლის არგენტინელს ბოლოხანს არაერთხელ განუცხადებია, რომ სიამოვნებით ითამაშებდა პრემიერლიგაში.

ჯერჯერობით ერთ-ერთი უმთავრესი დაბრკოლება „ჩაქუჩებისთვის" ბატისტუტას ხელფასია. გაბრიელ ომარს „რომაში" კვირაში 6 ათას ევროს უხდიან და ალბათ ნაკლებს არც „ვესტ ჰემში" დაჯაბულდება. თუმც ლონდონური კლუბის თავკაცებს იმედი აქვთ, რომ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება და ბატისტუტა უკვე იანვრიდან პრემიერლიგაში იბურთავებს.

რაც შეეხება ტრანსფერის ღირებულებას, პრემიერლიგის ბოლოადგილოსნებს არგენტინელის წაყვანა იჯარით სურთ. ეს კლუბს 1,5 მილიონ ევრომდე დაუჯდება. ზაფხულისთვის კი, თუ „ვესტ ჰემი" პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, კლუბის უფროსობა არგენტინელის ყიდვაზეც იფიქრებს.

**სერგი ძორიძე**

# არგენტინა პოლკოვნიკთან და ფინალის გახსენება

**რამდენჯერ** სტუმრებია არგენტინის ნაკრები აფრიკის კონტინენტს? სწორი პასუხია: ერთხელ, 1995 წელს სამხრეთამერიკელებმა სამხრეთ აფრიკასთან, ცხადია, ამხანაგურ მატჩში (აბა, ისე იქ რა ესაქმებოდათ) ფრედ, 1:1 ითამაშეს.

ეს ამბავი კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ არგენტინელები კვლავ მიემგზავრებიან შავ კონტინენტზე. ამჯერად მათი მეტოქე პოლკოვნიკ მუამარ კადაფის, ტერორისტთა ბუდედ ცნობილი ლიბიის ეროვნული გუნდი იქნება.

გაისად ზაფხულში სამხრეთამერიკელები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებმებიან და არგენტინის ნაკრები იქამდე ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. აქვე მოგახსენებთ, რომ ამ რამდენიმე დღის წინ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციაში იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ შესარჩევი ეტაპი ძველებური სისტემით ჩატარდება, ანუ კონტინენტის ათივე ნაკრები ერთ ჯგუფში იქნება.

არგენტინას მივუბრუნდეთ. იქაური ფედერაციის პრეს-ატაშემ, ანდრეს ვენკურამ ქომაგებს ამცნო, რომ ნახსენებ ხუთ ამხანაგურ მატჩში, ლიბიის გარდა, არგენტინელთა მეტოქეები ჰონდურასი, მექსიკა, ამერიკის შეერთებული შტატები და ჰოლანდია იქნებიან.

განრიგი ასეთია: ჰონდურასი — 1 თებერვალი, ტეგუსიგალპა; მექსიკა — 5 თებერვალი, ლოს ანჯელესი; აშშ — 8 თებერვალი, მაიამი, ჰოლანდია — 12 თებერვალი, ამსტერდამი; ლიბია — 30 აპრილი, ტრიპოლი.

ბოლოს დავძინოთ, რომ ლიბია კი გამოვარჩიეთ, მაგრამ საყოველთაო ყურადღების ცენტრში, ცხადია, არგენტინისა და ჰოლანდიის დაპირისპირება იქნება. რატომ? 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გაიხსენეთ.

**კოტე ძიძილია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე



დიეგო მარადონა

**დიეგო მარადონა** რომ მოგვისუქდა, ყველამ იცის. სამაგიეროდ, არ ვიცოდით, რომ არგენტინელი გენიოსი ჭარბი წონის დასაკლებად ექიმთან დადიოდა და ექიმს სახელად მაურისიო ვერგარა ერქვა.

მაურისიო ვერგარა კოლუმბიელი ექიმი ბრძანებულა, კოლუმბია კი, ბატონო ჩემო, ის ქვეყანა გახლავთ, სადაც კოკა ხარობს.

თუმცა, არა... ამით არაფერს ვამტკიცებთ, უფრო სწორად კი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ზედმეტსიტყვაობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. მხოლოდ მშრალი ფაქტები მოვიტანოთ: სინიორ ვერგარა ბოგოტას საერთაშორისო აეროპორტში დააჭირეს, მას ლეპტოპში ანუ ხელით სატარებელ ჩემოდან-კომპიუტერში 2 კილო კოკაინი ედო, ხოლო ჯიბეში ბუენოს აირესის ბილეთი. თურმე არგენტინაში სპორტულ მედიკოსთა კონფერენცია ტარდება და კოლუმბიელ დასტაქარსაც გეზი იქით ჰქონდა.

საზოგადოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ კოლუმბიაში წესად აქვთ: ყველა მნიშვნელოვანი ნარკოდაპატიმრების ამბავს ტელევიზიით აშუქებენ (ეს აშკარად ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყანაში შიგადაშიგ ვილაცებს აპატიმრებენ). ამიტომაც ჩაერია სინიორ ვერგარას საქმეში ტელეკამერა, რომლის დანახვაზეც მან, როგორც მისთანების წესი და რიგია, თავი ხელებში ჩარგო.

ახლა 34 წლის ექიმი, შესაძლოა, რვა წლით დააპატიმრონ. მის ჩანთაში ნაპოვნი ნარკოტიკი კი სავარაუდოდ, 20 ათასი დოლარის ღირებულებისა იყო.

ხოლო ექიმი ვერგარასა და დიდი დიეგოს ურთიერთობაზე ის არის ცნობილი, რომ შარშან კოლუმბიის ქალაქ კალიში მათმა ერთობლივმა გარჯამ მარადონას რამდენიმე კილოგრამი დააკლებინა და ბუენოს აირესში გამართულ საბენეფისო შეხვედრაში თამაშის საშუალება მისცა.

სხვათა შორის, როგორც ირკვევა, სინიორ ვერგარამ ამასწინათ რონალდოს შეატყობინა თავისი ვინაობა და წონის დაკლებაში დახმარება შესთავაზა.

**ბაჩუნა ძიდია**



„მანჩესტერმა" აზიური ბაზარი უკვე აითვისა, ჯერი ამერიკაზეა

# ფიქრები მომავალზე ევროპამ ზამთარში ზაფხული ააწყო

**ევროპულ** გრანდებს საქმე ისე აქვთ აწყობილი, რომ მომავალი წლის ზაფხულში სად და ვისთან ითამაშებენ, ახლავე იციან.

სამმა ვეშაპმა, „ბარსელონამ", „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „იუვენტუსმა", გაისად აშშ-ში ტურნეს მოწყობა გადაწყვიტა. ამ პროექტის ავტორნი კატალონიელები არიან და ოფიციალურად მისი წარდგენა ოკეანის გაღმა, სან დიეგოში 26 იანვარს მოხდება.

„ბარსელონას" ბოსებმა ამერიკის საფეხბურთო ლიგასთან შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის კვალადაც „ბარსა" მეიჯორ ლიგის გუნდს, „დრაგონს" ესპანურ ქალაქებში ამხანაგური მატჩების გამართვაში დაეხმარება, თავის მხრივ კი, ოკეანისგაღმელები ევროპელ სტუმრებს გულღიად უმასპინძლებენ.

გეხსომებათ, რომ შარშან ევროპელთაგან „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ნიუ იორკ იანკის" ბეისბოლის კლუბთან გრანდიოზული ხელშეკრულება გააფორმა. მსგავსი კონტაქტები ორივე მხარისთვის მომგებიანია და მანჩესტერელთა გზას სხვა ევროპული კლუბებიც დაადგნენ, რათა ამერიკული ბაზარი აითვისონ.

მოკლედ, მომავალი წლის ზაფხულში ამერიკულ ტურნეში, 27 ივლისს ბოსტონში „ბარსელონა" — „იუვენტუსს" შეხვდება, 30-ში „ბარსა" — „მანჩესტერია", 3 აგვისტოს კი ჩემპიონთა ლიგის ამჟამინდელი თანაჯგუფელები „მანჩესტერი" და „იუვენტუსი" დაეჯახებიან.

„ბარსელონა" აშშ-ში 11 დღით ჩადის, მანჩესტერელები კი იქ 12 დღეს დარჩებიან.

სერ ალექს ფერგიუსონი ძირითად შემადგენლობას წაიყვანს და მომავალი სეზონისთვის გუნდის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპს იქ გაივლის.

ორი კვირის განმავლობაში, გარდა ზემოთქმული შეხვედრებისა, ინგლისური კლუბი 22 ივლისს სიეტლში „სელტიკს", ხოლო 27 ივლისს ლოს ანჯელესში მექსიკის ჩემპიონ „ამერიკას" დაეჭიდება.

**გაჟა ხუციშვილი**

# ფონდი თუ ალიმენტი?



**დუაიტ იორკმა** ფონდი დააარსა და მასში ყოველთვიურად 1500 გირვანქას გადარიცხავს. ფონდი 7 თვის ბიჭუნას, დაბადებიდან უსინათლო ჰარვის გამო ჩამოყალიბდა და თუ იორკმა პირობა არ დაარღვია, 18 წლის შესრულებისას ჰარვი ნახევარ მილიონ გირვანქას ერთბაშად მიიღებს. თითქოს ჩინებული იდეაა, მაგრამ ჯორდანი წინააღმდეგია...

კალათბურთის მეფე ექს-მანჩესტერელ, ახლა კი „ბლექბერნის" ტრინიდადელ ფორვარდ დუაიტ იორკს საერთოდ არ იცნობს. საუბარი სხვა ჯორდანზეა, ერთ ტუტრუცანა ქალზე, რომლის ავლა-დიდების ნახვა ფოტოზე შეგიძლიათ. სწორედ ამ საამო საცქერმა გადარია იორკი, რომელიც კარგა ხანს ჰყვარობდა ჯორდანს. შედეგად, ერთ მშვენიერ დღეს, ქალი სამშობიაროში დაწვა და ბოიფრენდს შეუთვალა, დღეს-ხვალ მამა გახდებიო. დუაიტმაც არ დაახანა და მართალია, ბავშვზე თქვა, ნამეტანი თეთრიაო და ერთი პირობა დნმ-ს ტესტიც კი მოითხოვა, მერე ჭირვეულობას თავი ანება და დაბადების მოწმობაში ჰარვის საკუთარი გვარი ჩაუწერა.

კვირაში 40 ათას გირვანქას რომ კაცი გამოიმუშავებს, იმას ალიმენტის გადახდა არ გაუჭირდება, მაგრამ დუაიტზე უკეთესად ვინ იცნობს ჯორდანს — ეგ სულ გაანიავებს ყველაფერსო და ფონდიც ამიტომაც დააარსა. ფონდის გამგებლებად 4 ადამიანი გაფორმდება: თავად მშობლები და ორიც სხვა. მხოლოდ ოთხივეს თანხმობის შემთხვევაში შეუძლია ჯორდანს ამ ფულისთვის ხელის შევლება. დაგვეთანხმებით, მართლაც ჭკვიანური გამოსავალია.

„ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჰარვის საგანგებო მოვლა-მკურნალობა სჭირდება, დუაიტს კი აგერ უკვე ხუთი კვირაა, შვილი არ უნახავს" — ჩიოდა გუშინ ჯორდანი.

მთლად სიცხადისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ბრიტანეთში ერთ-ერთი საამო მკერდის მქონე ამ ქალბატონს ათასგვარი სარეკლამო კონტრაქტების წყალობით იორკისნაირი თუ არა, არც ძალიან ნაკლები შემოსავალი აქვს.

**გიგა ძოგახიძე**



# გიგზმა მილანი იყიდა

სანამ მილანის „ინტერი" რაიან გიგზის ყიდვას ცდილობს, თავად უელსელმა „მილანი" იყიდა. ამ გარიგებით, როგორც ვარაუდობენ, 29 წლის ფორვარდის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს არ სიამოვნებს, როცა მისი მოთამაშეები ბიზნესში აქტიურობას იწყებენ, ამიტომაც გიგზმა „მილანის" პერსონალი გააფრთხილა, ჩემი სახელის აფიშირებას მოერიდეთო.

როგორც ხშირად ხდება, საიდუმლოს ფარდა გაზეთმა „სანმა" ახადა.

შედეგად, პატარა ქალაქ სალფორდის ახლო მდებარე დაბა ვორსლის რესტორანი „მილანი" იმ არემარეში ყველაზე პოპულარულ ადგილად იქცა — იქ სადილობის მოსურნეთ 2003 წლის ივნისამდე მოცდა უწევთ, რადგან მანამდე ყველაფერი უკვე დაჯავშნულია.

ორი გიგზური პასტა, გენაცვალე-

# ოუენის დღეობა
## იან რაშიდან 20 წლის მერე

*ტერი ოუენი ძველი ქართველი რომ ყოფილიყო, ზუსტად 23 წლის წინ ქალაქ ჩესტერის გარეუბან ჰოვარდენში თოფს დააქუხებდა და ასე აღნიშნავდა ვაჟის დაბადებას. ტერი ოუენმა და მისმა მეუღლე ჯენეტმა, რომლებსაც მანამდე სამი შვილი ჰყავდათ – ენდრიუ, ტერი და კარენი – ახალშობილს მაიკლი დაარქვეს...*



**ტერი ოუენი** ფეხბურთელი იყო და კარიერის უმეტესი წლები ლივერპულის „ევერტონში" გაატარა, ხოლო იმხანად, როცა პატარა მაიკლი გაჩნდა, ის ფეხბურთელობის ბოლო წლებს ითვლიდა და „პორტსმუთში" თამაშობდა. კარიერაში ტერი ოუენს 299 მატჩი და 70 გოლი დაეთვლება.

ოუენების სახლ-კარი ჰოვარდენში, ხუთიოდ მილითაა დაშორებული ქალაქ ჩესტერიდან, რომელიც თავის მხრივ უელსისა და ინგლისის საზღვარზეა მოქცეული და მასთან ახლოს მდებარე ყველაზე დიდი ქალაქი ლივერპულია. საზოგადოდ, ჩესტერი ბრიტანეთშიც კი არაფრით გამოირჩევა და მის ხსენებაზე ვინმე ძალიან ერუდირებულს თუ მოაგონდება, რომ იქიდან იყო ქვეყნის უწინდელი პრემიერი უილიამ გლედსტოუნი.

ისევ ოუენების ოჯახს დავუბრუნდეთ: როგორც ვთქვით, იმხანად ტერი ოუენმაც დაასრულა თავისი საფეხბურთო კარიერა და შვილების აღზრდით უფრო მეტად დაკავდა. როგორც პროფესიონალს, არც ის გამოჰპარვია, რომ შვილებს შორის მაიკლს უყვარდა გამორჩეულად ბურთით თამაში და საკმაოდ კარგადაც.

როცა მაიკლი 7 წლის გახდა, მამამ რატომღაც გადაწყვიტა, რომ ვაჟი უელსში, „დისსაიდის" საფეხბურთო სკოლაში მიებარებინა, აკი ვახსენეთ, ჩესტერი უელს-ინგლისის სასაზღვრო ქალაქიაო და მამამაც უელსის მხარე ამჯობინა შვილის პირველი ნაბიჯებისთვის.

მოხდა ისე, რომ მაიკლს მასზე მოზრდილ ბავშვებთან მოუწია ვარჯიშმა, თუმცა პატარა ფენომენს ამან არაფრით შეუშალა ხელი, პირიქით, ყველაზე გამორჩეული იყო თანაგუნდელთა შორის.

11 წლის მაიკლი უკვე უელსის რეკორდსმენი იყო. მოსწავლეთა ჩემპიონატში 79 გოლის გატანა მოახერხა. უწინდელი რეკორდი — სეზონში 72 გოლი კი, მომავალში „ლივერპულის" ლეგენდას იან რაშს დაემყარებინა ოუენამდე ოცი წლით ადრე.

ოუენის ეს გასაოცარი მიღწევა, ცხადია, ბრიტანელი სკაუტების ყურამდეც მივიდა. „ჰოკარდენ სქულის" პატარა სასკოლო მოედანს ფეხკრებივით დაესივნენ დიდი ინგლისური კლუბების — „მანჩესტერ იუნაიტედის", „ლივერპულის", „ჩელსის", „ევერტონისა" თუ სხვათა სკაუტები.

გამოგვრჩა გვეთქვა და აქ აღვნიშნოთ, რომ თავად მაიკლი ბავშვობაში „ევერტონის" ფანი იყო და ოცნებობდა, ამ კლუბის სკოლაში გაეგრძელებინა ვარჯიში. თუმცა, რახან იმხანად მარტო საკუთარი სურვილით ვერაფერს გადაწყვეტდა და თან „ლივერპულის" სკაუტები ყველაზე გაქნილები აღმოჩნდნენ, ბიჭუნამ „ენფილდის" სკოლაში დაიწყო თამაში.

დიდ მასშტაბსა და გრანდიოზულ სახელს, პროვინციიდან ჩასული ბიჭისთვის დამთრგუნველად სულაც არ უმოქმედია, ეგ კი არა, გოლის გოლზე გატანას უხშირა.

სულ მცირე ხანში იმ დონემდე მოუმატა, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ნიჭიერთა სკოლაში, ხოლო იქიდან ქვეყნის 15-წლამდელთა ნაკრებში მოხვდა, სადაც ასევე ერთი ხელის მოსმით დაამხო მეგოლეთა უწინდელი რეკორდები.

„ლივერპულის" თავკაცობა ხვდებოდა რა ოქროს ბიჭიც ეზრდებოდათ და როგორც კი მაიკლი 17 წლისა გახდა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო, კლუბმა დაბადების დღეზე პირველი პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა. დედ-მამა იხსენებს, იმხანად მთელს ინგლისში ვერ იპოვნიდით ჩვენზე ბედნიერ მშობლებსო.

თუმცა უფრო სასიხარულო და სანატრელი წუთები ჯერ კიდევ წინ იყო, თუგინდ 1997 წლის 6 მაისი, როცა „ლივერპულის" იმჟამინდელმა თავკაცმა როი ევანსმა დიდი ხნის ფიქრის და აწონ-დაწონვის შემდეგ მაიკლი პირველ ოფიციალურ მატჩში შეცვლაზე შეუშვა, მან კი ტრადიციას არ უღალატა და დებიუტი გოლით აღნიშნა. ეს იყო „უიმბლდონთან" საშინაო მატჩი, რომელიც ენთუზიაზმით აღსავსე ბიჭუნას უდიდესი მონდომების მიუხედავად, მერსისაიდელებმა 1:2 წააგეს. თუმცა ამით რა? ოუენის ნიჭს რაღა დაუდგებოდა წინ?

ერთ წარმატებას მეორე და მესამე მოჰყვა. მაიკლი ლივერპულში პოპულარული პიროვნება გახდა. იმ დროიდან მოყოლებული ოუენების ოჯახში უამრავი წერილი მიდის, ზოგჯერ კვირაში ასობით ბარათიც გროვდება და მაიკლის დედაც საგულდაგულოდ ინახავს ყველა მათგანს.

ოუენების საფოსტო ყუთში ჩაგდებულ ბარათებს შორის, ცხადია, სასიყვარულოებიც ერია. ვინ იცის, რამდენი გოგო უტყდება მაიკლს, ფენომენს კი სიყვარული მეზობელი ქუჩიდან ეწვია. მაიკლი ამბობს, რომ უბედნიერეს კაცად გრძნობს თავს ლუიზა ბონსალთან ერთად, რომელიც მის მახლობლად ცხოვრობს, სკოლიდან მეგობრობენ და მათ უკვე მალე ბავშვიც ეყოლებათ, თუმც დაქორწინებას ჯერაც არ ჩქარობენ.

მაიკლს კლუბში წინსვლასთან ერთად ნაკრებში წარმატების ხანაც მალე დაუდგა — 18 წლისა და 59 დღისა პირველად გამოჩნდა ინგლისის ეროვნულ გუნდში და კიდევ ერთხელ გახდა რეკორდსმენი — მეოცე საუკუნის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელსაც ინგლისის ნაკრებში უთამაშია — ეს მოხდა 1998 წლის 11 თებერვალს „უემბლიზე", ჩილეს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში. ოუენმა 124 დღით გადაუსწრო ყოფილ რეკორდსმენ დანკან ედვარდსს.

იმავე წელს ოუენის სახელი ინგლისის საზღვარს გასცდა და მთელმა მსოფლიომ გაიცნო. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, საფრანგეთის მუნდიალზე არგენტინის ნაკრების კარში გატანილი მისი ორი გოლის გახსენებაც კმარა. BBC-მ კი ოუენი 1998 წლის ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა.

შარშან, ზუსტად ამ დროს, მაიკლი „ფრანს ფუტბოლის" ვერსიით ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს, შარშან „ლივერპული" მისი გოლების წყალობით ხუთი თასის მფლობელი გახდა. სხვათა შორის, სიმბოლურია, რომ სწორედ მისი დაბადების წელს იგივე საპატიო ჯილდო კევინ კიგანმა მოიპოვა და მას მერე, ოუენამდე, არც ერთ ინგლისელს აღარ ღირსებია.

ევროპის წლის ფეხბურთელობისთვის „ოქროს ბურთის" მიღებიდან ოთხი თვის თავზე ოუენმა უკვე ინგლისის ნაკრებს უკაპიტნა და ამგვარად შეიქნა ინგლისელთა ყველაზე ახალგაზრდა გამძღოლი ბოლო 40 წლის მანძილზე.

**ნიკა შუბლაძე**





მაიკლ ოუენს შეყვარებული სიყვარულზე, მამა კი ფეხბურთზე ელაპარაკება

## ფეხბურთის სარკე



**იტალიური** „მილანი" დორტმუნდში გამარჯვების მერე ყატარში გაფრინდა და იქაურ ეროვნულ გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრა. მეორე შემადგენლობით მოთამაშე „შავ-წითლებმა" მეტოქე 6:0 გაანადგურეს. გოლები ლეონარდომ (2), ტომასონმა (2), რივალდომ და სერჯინიომ გაიტანეს. მატჩი კომერციული იყო: ყატარელები „მილანის" თანასპონსორობას ლამობენ. ჰოდა, ვიზიტისთვის იტალიელებს ამ ჯერზე 50 მილიონი ევრო ჩაუთვალეს.

**გერმანული „ბაიერნის" ინგლისელი ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი „ბელსიში" გადასვლას არ აპირებს და პირიქით, მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას ეშურება. „21 წლის ვარ და ჯერაც ბევრი მაქვს სასწავლი. „ბაიერნმა" ბევრი რამ შემძინა და მის მიტოვებას არც ვაპირებ. ეგაა, უკმაყოფილო მხოლოდ ჩემი სათამაშო ამპლუით ვარ. ვფიქრობ, სარგებლის მოტანა შუა ნახევარმცველის პოზიციაზე შემიძლია და არა ფლანგზე სირბილით" — აცხადებს ჰარგრივსი.**

| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 14 დეკემბერი | | | |
| 18.30 | 2525 | კოტბუსი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2526 | ბაიერნი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2527 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2528 | ჰანოვერი-არმინია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2529 | ჰანზა-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2530 | ბოხუმი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2531 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.15 | 2532 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2533 | ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2534 | ჩარლტონი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2535 | ევერტონი-ბლეკბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2536 | მიდლსბრო-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2537 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2538 | პიაჩენცა-კომო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2539 | ბოლონია-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2559 | ალავესი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2540 | ვილიარეალი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 15 დეკემბერი | | | |
| 20.30 | 2541 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2542 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2543 | ფულემი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2544 | ტოტენჰემი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 2545 | სანდერლენდი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2546 | ბრეშა-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2547 | კომო-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2548 | ემპოლი-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2549 | ინტერი-ატალანტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2550 | რომა-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2551 | უდინეზე-ტორინო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2552 | იუვენტუსი-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2553 | დეპორტივო-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2554 | ოსასუნა-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2555 | სოსიედადი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2556 | ბეტისი-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2557 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2558 | რასინგი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2560 | ბარსელონა-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.30 | 2561 | რეალი-უელვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 16 დეკემბერი | | | |
| 24.00 | 2562 | ბოლტონი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 14 დეკემბერი | | |
| 18.30 | 2425 | კოტბუსი-დორტმუნდი | 2,8 | 1,45 |
| 18.30 | 2426 | ბაიერნი-შალკე | 1,4 | 3,0 |
| 18.30 | 2427 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1,35 | 3,2 |
| 18.30 | 2428 | ჰანოვერი-არმინია | 1,7 | 2,2 |
| 18.30 | 2429 | ჰანზა-ჰამბურგი | 1,8 | 2,0 |
| 18.30 | 2430 | ბოხუმი-მიუნხენი | 1,8 | 2,0 |
| 18.30 | 2431 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1,35 | 3,2 |
| 16.15 | 2432 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,15 | 4,4 |
| 19.00 | 2433 | ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი | 1,35 | 3,2 |
| 19.00 | 2434 | ჩარლტონი-სიტი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 2435 | ევერტონი-ბლეკბერნი | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 2436 | მიდლსბრო-ჩელსი | 1,9 | 1,9 |
| 19.00 | 2437 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 2438 | პიაჩენცა-კომო | 1,8 | 2,0 |
| 23.30 | 2439 | ბოლონია-პარმა | 1,75 | 2,1 |
| 23.30 | 2459 | ალავესი-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 00.30 | 2440 | ვილიარეალი-ვალენსია | 2,2 | 1,7 |
| | | 15 დეკემბერი | | |
| 20.30 | 2441 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1,7 | 2,2 |
| 20.30 | 2442 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 2443 | ფულემი-ბირმინგემი | 1,55 | 2,5 |
| 18.00 | 2444 | ტოტენჰემი-არსენალი | 2,0 | 1,8 |
| 20.05 | 2445 | სანდერლენდი-ლივერპული | 2,4 | 1,6 |
| 18.00 | 2446 | ბრეშა-პერუჯა | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2447 | კომო-მილანი | 2,8 | 1,45 |
| 18.00 | 2448 | ემპოლი-მოდენა | 1,7 | 2,2 |
| 18.00 | 2449 | ინტერი-ატალანტა | 1,15 | 4,4 |
| 18.00 | 2450 | რომა-რეჯინა | 1,2 | 4,0 |
| 18.00 | 2451 | უდინეზე-ტორინო | 1,4 | 3,0 |
| 23.30 | 2452 | იუვენტუსი-ლაციო | 1,7 | 2,2 |
| 20.00 | 2453 | დეპორტივო-მალაგა | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 2454 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,7 | 2,2 |
| 20.00 | 2455 | სოსიედადი-მალიორკა | 1,65 | 2,3 |
| 20.00 | 2456 | ბეტისი-რაიო | 1,3 | 3,4 |
| 20.00 | 2457 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 1,75 | 2,1 |
| 20.00 | 2458 | რასინგი-სელტა | 1,9 | 1,9 |
| 23.30 | 2460 | ბარსელონა-სევილია | 1,2 | 4,0 |
| 21.30 | 2461 | რეალი-უელვა | 1,1 | 5,3 |
| | | 16 დეკემბერი | | |
| 24.00 | 2462 | ბოლტონი-ლიდსი | 1,9 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 14 დეკემბერი | | |
| 18.30 | 2225 | კოტბუსი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2226 | ბაიერნი-შალკე | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2227 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2228 | ჰანოვერი-არმინია | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2229 | ჰანზა-ჰამბურგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2230 | ბოხუმი-მიუნხენი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2231 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 2,0 | 1,6 |
| 16.15 | 2232 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 2,1 | 1,55 |
| 19.00 | 2233 | ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2234 | ჩარლტონი-სიტი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2235 | ევერტონი-ბლეკბერნი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2236 | მიდლსბრო-ჩელსი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2237 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2238 | პიაჩენცა-კომო | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2239 | ბოლონია-პარმა | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2259 | ალავესი-ატლეტიკო | 1,85 | 1,75 |
| 00.30 | 2240 | ვილიარეალი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| | | 15 დეკემბერი | | |
| 20.30 | 2241 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 2242 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2243 | ფულემი-ბირმინგემი | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2244 | ტოტენჰემი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 20.05 | 2245 | სანდერლენდი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2246 | ბრეშა-პერუჯა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2247 | კომო-მილანი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2248 | ემპოლი-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2249 | ინტერი-ატალანტა | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2250 | რომა-რეჯინა | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2251 | უდინეზე-ტორინო | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2252 | იუვენტუსი-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2253 | დეპორტივო-მალაგა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2254 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2255 | სოსიედადი-მალიორკა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2256 | ბეტისი-რაიო | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2257 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2258 | რასინგი-სელტა | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2260 | ბარსელონა-სევილია | 2,0 | 1,6 |
| 21.30 | 2261 | რეალი-უელვა | 2,3 | 1,45 |
| | | 16 დეკემბერი | | |
| 24.00 | 2262 | ბოლტონი-ლიდსი | 1,9 | 1,7 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14.12 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XVII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 14.12 16.15 | 2602 | ინგლისი პლ. (XVIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 14.12 21.00 | 2603 | იტალია "A" (XIV ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 14.12 23.30 | 2604 | ესპანეთი Iდ. (XIV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 14.12 20.15 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XIX ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 18.30 | 2125 | კოტბუსი-დორტმუნდი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,7 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 18.30 | 2126 | ბაიერნი-შალკე | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 2127 | ვერდერი-მ.გლადბახი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 2128 | ჰანოვერი-არმინია | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 2129 | ჰანზა-ჰამბურგი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.30 | 2130 | ბოხუმი-მიუნხენი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.30 | 2131 | ლევერკუზენი-ნიურნბ. | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 16.15 | 2132 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 19.00 | 2133 | ა.ვილა-ვ.ბრომვიჩი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2134 | ჩარლტონი-სიტი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 2135 | ევერტონი-ბლეკბერნი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 19.00 | 2136 | მიდლსბრო-ჩელსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 2137 | საუთჰემპტ.-ნიუკასლი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 2138 | პიაჩენცა-კომო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.30 | 2139 | ბოლონია-პარმა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.30 | 2159 | ალავესი-ატლეტიკო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 00.30 | 2140 | ვილიარეალი-ვალენსია | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| | | 15 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 20.30 | 2141 | ვოლფსბურგი-შტუტგ. | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.30 | 2142 | კ.ლაუტერნი-ჰერტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.00 | 2143 | ფულემი-ბირმინგემი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2144 | ტოტენჰემი-არსენალი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 20.05 | 2145 | სანდერლ.-ლივერპული | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 18.00 | 2146 | ბრეშა-პერუჯა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 2147 | კომო-მილანი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 18.00 | 2148 | ემპოლი-მოდენა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 2149 | ინტერი-ატალანტა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 18.00 | 2150 | რომა-რეჯინა | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 2151 | უდინეზე-ტორინო | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.30 | 2152 | იუვენტუსი-ლაციო | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.00 | 2153 | დეპორტივო-მალაგა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 20.00 | 2154 | ოსასუნა-ესპანიოლი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.00 | 2155 | სოსიედადი-მალიორკა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.00 | 2156 | ბეტისი-რაიო | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 2157 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 2158 | რასინგი-სელტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.30 | 2160 | ბარსელონა-სევილია | 1,5 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 21.30 | 2161 | რეალი-უელვა | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,3 | 6,0 | 18,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| | | 16 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 24.00 | 2162 | ბოლტონი-ლიდსი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 14 დეკემბერი | | |
| 18.30 | 2325 | კოტბუსი-დორტმუნდი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 2326 | ბაიერნი-შალკე | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2327 | ვერდერი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2328 | ჰანოვერი-არმინია | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2329 | ჰანზა-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2330 | ბოხუმი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2331 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1,7 | 1,9 |
| 16.15 | 2332 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 2333 | ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2334 | ჩარლტონი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2335 | ევერტონი-ბლეკბერნი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2336 | მიდლსბრო-ჩელსი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2337 | საუთჰემპტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2338 | პიაჩენცა-კომო | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2339 | ბოლონია-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2359 | ალავესი-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 00.30 | 2340 | ვილიარეალი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |
| | | 15 დეკემბერი | | |
| 20.30 | 2341 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 2342 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2343 | ფულემი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2344 | ტოტენჰემი-არსენალი | 1,65 | 1,95 |
| 20.05 | 2345 | სანდერლენდი-ლივერპული | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2346 | ბრეშა-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2347 | კომო-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2348 | ემპოლი-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2349 | ინტერი-ატალანტა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2350 | რომა-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2351 | უდინეზე-ტორინო | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2352 | იუვენტუსი-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2353 | დეპორტივო-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2354 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2355 | სოსიედადი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2356 | ბეტისი-რაიო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2357 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2358 | რასინგი-სელტა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2360 | ბარსელონა-სევილია | 1,75 | 1,85 |
| 21.30 | 2361 | რეალი-უელვა | 1,8 | 1,8 |
| | | 16 დეკემბერი | | |
| 24.00 | 2362 | ბოლტონი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

Euroleague

# ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 11-12 დეკემბერი

# რეპეშა! ჯოჯოხეთის დეპეშა ბარსელონას



ჯასმინ რეპეშა

ჯასმინ რეპეშა „ბარსელონას" ჯალათად მოევლინა. ბოლო ერთ თვეში ამ კაცის გაწვრთნილმა გუნდებმა ორჯერ იმსხვერპლეს ვარსკვლავებით სავსე კატალონიური კლუბი. როგორ? ჯერ იყო და „ციბონამ" ზაგრებში „ბარსელონას" პირველი საევროლიგო მარცხი აჰკიდა, ბოლო ტურში კი ესპანურ გრანდს მსუყე „სკიპერმაც" გაჰკრა კბილი — ბარსელონელთა მძლეველთ ორჯერვე ჯასმინ რეპეშა მოძღვრავდა.

რეპეშამ „ციბონაში" გარკვეული ცოდნა შეიძინა — იმდენი, რამდენიც უცხოელთა დასაინტერესებლად იკმარებდა და ხორვატ მწვრთნელსაც ევროკალათბურთის დედაქალაქად წოდებულ ბოლონიიდან შეეხმიანენ. რეპეშა მივიდა „სკიპერში" და მის ფანებს პირველივე საშინაო მატჩში არმალანი უძღვნა. ბოლონიელთათვის ეს გამარჯვება მხოლოდ ევროგრანდის დაჩოქებას როდი ნიშნავდა, „ბარსელონაში" ხომ წლეულს გრეგორ ფუჩკა გადაბარგდა, ვინაც ბოლონიურ კლუბს წლების მანძილზე ერთგულად ლიდერობდა. ფუჩკამ გაცეცხლებულ ბოლონიელ ფანებს ნავთი დაასხა, როცა სტუმართათვის ზედიზედ 5 სადებიუტო ქულა მიითვალა. თუმც მის მონდომებას წინ სკიპერელი კარლოს დელფინო აღუდგა და „მოღალატე" გრეგორს იქით შეუტია. ბოლონიელებმა მალე მოიპოვეს ლიდერობა და კატალონიელები თამაშის ბოლომდე ამაო მდევრის როლში ამყოფეს.

„ბარსელონას" წაფორხილებით ისარგებლა მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონმა" და ფრანგულ პოში გამარჯვებით A ჯგუფში გალიდერდა. 4 წუთი ითამაშა მარკოიშვილმა და „გამოსარჩევი" ის გააკეთა, რომ პოელ ოპონენტზე ერთხელ დაჯარიმდა.

თავის ჯგუფში გალიდერების შანსი ჰქონდა მეორე „ქართულ" კლუბ „ულქერსაც", თუ მომძლავრებულ ცსკა-ს მოსკოვში მოერეოდა. არადა, მოსკოვში ბოლო სტუმრობისას, რაც შარშანდელ ევროლიგაში მოხდა, სტამბოლელებს ემარჯვათ და ულქერელები არც ახლა ჩასულან სკვითთა მთავარქალაქში უიმედოდ. ასეთ პრინციპულ მატჩში ზაზა ფაჩულიას 12 წუთით მოედანზე გაყვანა სტამბოლელთა დამრიგებელ თოლგა ონგორენისგან ცოტათი მოულოდნელი იყო. თურქი მწვრთნელი ხომ ჩვენებურს ბევრად სუსტ გუნდებთანაც არ ათამაშებდა ამდენს.

ფაჩულია ბევრი ვერაფრით შეეწია „ულქერს" — მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო და ამდენივე ბურთი მოხსნა. ისე არც „ულქერს" გამოუვიდა რამე, ცსკა, შეიძლება ითქვას, ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს, აკი ევროლიგაშიც ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აქვს.

კვლავაც საუკეთესოთა შორისაა ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია". ლიუბლიანელებმა დრამატულ შეხვედრაში შინ მალაგურ „უნიკახას" მოუგეს. ბოისამ ამჯერად ვერ იყოჩაღა და თავისიანებს 19 წუთში ოდენ 5 ქულით შეეწია. მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა, ნიადაგ მდევარმა ლიუბლიანელებმა ბარე სირენის თანხლებით ჩაგდებული ბურთით მოიგეს. „ოლიმპია" ქულას აგებდა და შეტევისთვის 4 წამი ჰქონდა. ცაცია ვლატკო ილიევსკიმ ელვასავით გადასერა მთელი მოედანი და მალაგელებს გამარჯვებისა ჩაუგდო — 83:82.

„გამარჯვებაში დარწმუნებულნი ვიყავით, მაგრამ ვაღიარებ, რომ იღბალიც დაგვეხმარა. ერთხანს 10 ქულითაც ვაგებდით, მაგრამ დიდი მონდომების ხარჯზე მალაგელებს ორი ქულა ავართვით. ერთიცაა, რომ არა ფანთა მხურვალე მხარდაჭერა, არა მგონია, ეს მატჩი მოგვეგო" — თქვა ოლიმპიელთა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა.

**ირაკლი ბერტაია**



„ბარსელონას" მთავარი დამაქცევარი კარლოს დელფინო

### A ჯგუფი

**პო ორტეზი 88:93 ბენეტონი**
პო ორტეზი: პილი (18), სევერსი (18)
ბენეტონი: ლანგდონი (20), ბულერი (19), მარკოიშვილი (4 წუთი, 0 ქულა)

**სკიპერი 82:70 ბარსელონა**
სკიპერი: დელფინო (21), გალანდა (18), ბაზილე (17)
ბარსელონა: ფუჩკა (19), ნავარო (19)

**აეკ 69:71 ციბონა**
აეკ: ბეტსი (16), კაკიუზისი (15)
ციბონა: მუეძინოვიჩი (18), პლანინიჩი (19)

**ეფესი 74:62 ალბა**
ეფესი: კამბალა (19), ბრაუნი (17)
ალბა: სტანოევიჩი (19), ლოლისი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 8 | 6 | 2 | +60 | 14 |
| ბარსელონა | 8 | 6 | 2 | +26 | 14 |
| ეფესი | 8 | 5 | 3 | +32 | 13 |
| ციბონა | 8 | 4 | 4 | +5 | 12 |
| სკიპერი | 8 | 4 | 4 | -7 | 12 |
| ალბა | 8 | 3 | 5 | -36 | 11 |
| პო ორტეზი | 8 | 3 | 5 | -41 | 11 |
| აეკ | 8 | 1 | 7 | -39 | 9 |

### B ჯგუფი

**ბუდუჩნოსტი 84:92 პანათინაიკოსი**
ბუდუჩნოსტი: ბრაუნი (16), კოლევიჩი (15)
პანათინაიკოსი: ფოსისი (25), ალვერტისი (15)

**ოლიმპია 83:82 უნიკახა**
ოლიმპია: ილიევსკი (21), ბაზარიჩი (18), ბოისა (19 წუთი, 5 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი)
უნიკახა: ბალოკი (18), კორნგაი (13)

**ჟალგირისი 74:100 სიენა**
ჟალგირისი: დავიდი (21), ეინიკისი (16)
სიენა: ფორდი (33), თურქჯანი (21)

**მაკაბი 69:72 ტაუ**
მაკაბი: ვუიჩიჩი (19), ლუისი (13)
ტაუ: მოტოლა (16), კალდერონი (12), ალენი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 8 | 6 | 2 | +35 | 14 |
| ოლიმპია | 8 | 6 | 2 | +29 | 14 |
| პანათინაიკოსი | 8 | 5 | 3 | +24 | 13 |
| უნიკახა | 8 | 4 | 4 | +18 | 12 |
| სიენა | 8 | 4 | 4 | -12 | 12 |
| მაკაბი | 8 | 3 | 5 | +30 | 11 |
| ბუდუჩნოსტი | 8 | 2 | 6 | -53 | 10 |
| ჟალგირისი | 8 | 2 | 6 | -71 | 10 |

### C ჯგუფი

**ცსკა 78:62 ულქერი**
ცსკა: ხაძივრენტასი (22), ალექსანდერი (20)
ულქერი: ბუკერი (19), გოლიოვიჩი (11), ფაჩულია (12 წუთი, 1 ქულა, 1 მოხსნა)

**რეალი 89:78 პარტიზანი**
რეალი: მულაომეროვიჩი (20), ალსტონი (14)
პარტიზანი: ბუიანიჩი (21), ჩანაკი (16)

**ოლიმპიაკოსი 78:71 შლიონსკი**
ოლიმპიაკოსი: არისისი (22), მარკოვიჩი (16), ჯონსონი (15)
შლიონსკი: ტომჩიკი (16), გედრაიტისი (14)

**ვილერბანი 74:88 კინდერი**
ვილერბანი: ეტიმოვი (16), გულიაში (12)
კინდერი: დაიალი (21), ბელი (18)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 7 | 1 | +95 | 15 |
| ულქერი | 8 | 5 | 3 | +31 | 13 |
| რეალი | 8 | 5 | 3 | +9 | 13 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 4 | 4 | +24 | 12 |
| კინდერი | 8 | 4 | 4 | +4 | 12 |
| ვილერბანი | 8 | 3 | 5 | -19 | 11 |
| პარტიზანი | 8 | 2 | 6 | -65 | 10 |
| შლიონსკი | 8 | 2 | 6 | -79 | 10 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლები სექტანტებს დაერივნენ

12 დეკემბერი

**იუტა 88:93 ნიუ ორლეანი**
იუტა: ჰარპრინგი (21 ქულა, 10 მოხსნა), მელოუნი (18 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ჩინი (16)
ნიუ ორლეანი: ვესლი (33), მაშბურნი (19)

**მინესოტა 113:95 ატლანტა**
მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ნესტეროვიჩი (18), პადსონი (18)
ატლანტა: რობინსონი (21), აბდურ-რაჰიმი (16)

**ჩიკაგო 76:86 დეტროიტი**
ჩიკაგო: როუზი (15), მარშალი (14)
დეტროიტი: ბილაფსი (21), ჰამილტონი (20)

ახალორლეანელი კალათბურთის გურმანები ახლა აღარ იტირებენ, ოდესღაც ნბა-ს კლუბი გვყავდა, მაგრამ მაგ ოხერმა მორმონებმა წაგვართვეს და თავისთან, მიყრუებულ იუტაში მარილიანი ტბის პირა სოფელში, სოლტ ლეიკ სიტიში წაიყვანესო. დღეს ორლეანელებს საკუთარი გუნდი ჰყავთ, რომლითაც ახლა ორმაგად კმაყოფილები იქნებიან, რაკი მათმა ახალმა ჯილამ „ჰორნეთსმა" ძველი „ჯაზი" სოლტ ლეიკ სიტიშივე დაამარცხა.

„ჯაზი" არც ძალიან ძველი და არც ძალიან ახალი გუნდია, 1974 წელს დაარსებულა და პირველ წლებში ნიუ ორლეანის სახელითაც გამოდიოდა. ვერ გეტყვით, რა როლი შეასრულა ამ საქმეებში მორმონთა სექტამ, ფაქტი კია, „ჯაზმა" მცირე ხნით გაძლო მისისიპისპირეთში და 1980 წელს მორმონეთში, სოლტ ლეიკ სიტიში გადაბარგდა, სადაც დღემდე მოჭმით ზის. ახლა ნიუ ორლეანს კვლავ გამოუჩნდა ახალი გუნდი, წლეულს შარლოტს „კრაზანები" მოსტაცა და თავისთან დაასახლა, 2002 წლის 12 დეკემბერს კი იუტაში გაუშვა „ჯაზის" დასანესტრად. „კრაზანებმა" თავიანთი საქმე შეასრულეს, „დელტა სენთერში" მათმა ბზუილმა გადაფარა „ჯაზის" ჰანგები.

არადა, თავიდან მასპინძლები მძლავრობდნენ, მათ უკეთ დაიწყეს და პირველ 12-წუთეულში 24:12 დაწინაურდნენ. სტუმრები დროულად გამოფხიზლდნენ და საქმეს მიხედეს, სროლებიც წაუვიდათ, განსაკუთრებით მათ მომცრო მსროლელ დევიდ ვესლის. ვესლიმ პირველი სამქულიანი ააცილა, მაგრამ მერე იმდენი ჩაყარა, არც მისიანებს და არც სხვისიანებს ერთად არ მოუგროვდებოდათ. „ეს რა საშინელება იყო, ერთი კაცი ყველას მაგივრად გვბომბავდა. მგონი, რვა სამიანი ჩაგვიგდო, არა?" — უსასოოდ შლიდა ხელებს იუტელთა საამმატჩო პირველმექულე მეტიუ ჰარპრინგი.

ვესლის სამქულიანები მთელი მატჩის განმავლობაში ასულდგმულებდა ორლეანელებს, ხოლო, როცა დევიდს არსენალი ამოეწურა, მისმა უკანახაზელმა მეწყვილემ ბაირონ დევისმა დაიქუხა. დევისი იმ დღეს ზურგის ცუდადგაყუჩებული ტკივილის თანხლებით თამაშობდა, ამიტომაც მატჩის მეტი ნაწილი ჩრდილში იყო, მაგრამ მან, როგორც გუნდის ლიდერმა, ვალი მოიხადა და საჭირო დროს ჩასაგდები ჩააგდო. მატჩის დამთავრებამდე 58 წამით ადრე მან სამქულიანით „ჰორნეთსი" 88:84 დააწინაურა. „იუტამ" მეძლო ანგარიშის გათანაბრება. სირენამდე 10 წამი რჩებოდა, როცა „ჯაზის" ბებერმა ბენდლიდერმა კარლ მელოუნმა 88:88 გახადა. ისევ ივაჟკაცა ბაირონ დევისმა, ერთ შეტევაში ბურთიც ჩააგდო და ჯარიმაც, კიდევ რამდენიმე წამში „ჯაზმა" საკუთარ კალათში ორი საჯარიმოც მიიღო და ყველაფერი აქ დასრულდა. „ბაირონი ნამდვილი ვაჟკაცია, ვიცი, მას ტკივილები ჰკლავდა, მაგრამ თავის საქმეს და პასუხისმგებლობას მაინც არ გაექცა. მე მას უდიდეს პატივს ვცემ" — თქვა ნამატჩევს „ჰორნეთსის" მწვრთნელმა პოლ საილასმა.

ახალორლეანელებმა ძველი ახალორლეანელების ძლევით დაიწყეს შვიდმატჩა გასვლითი ტურნე, მათი მომდევნო მასპინძელი ბოლო სამი სეზონის გამარჯვებული „ლოს ანჯელეს ლეიკერსია".

**ირაკლი ფირუზმილი**



ახალმა ახალორლეანელმა დევიდ ვესლიმ (ბურთით) ძველებს საქმე გაუჭირვა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 15 | 7 | 68,2 |
| ფილადელფია | 15 | 7 | 68,2 |
| ბოსტონი | 14 | 7 | 66,7 |
| ორლანდო | 12 | 11 | 52,1 |
| ვაშინგტონი | 9 | 12 | 42,9 |
| ნიუ იორკი | 6 | 13 | 31,6 |
| მაიამი | 5 | 16 | 23,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 16 | 5 | 76,2 |
| ნიუ ორლეანი | 16 | 7 | 69,6 |
| დეტროიტი | 14 | 7 | 66,7 |
| ატლანტა | 10 | 12 | 45,5 |
| მილუოკი | 9 | 12 | 42,9 |
| ტორონტო | 7 | 14 | 33,3 |
| ჩიკაგო | 6 | 16 | 27,3 |
| კლივლენდი | 4 | 19 | 17,4 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 19 | 3 | 86,4 |
| ჰიუსტონი | 12 | 8 | 60,0 |
| სან ანტონიო | 13 | 9 | 59,1 |
| მინესოტა | 13 | 10 | 56,5 |
| იუტა | 12 | 10 | 54,5 |
| დენვერი | 6 | 16 | 27,3 |
| მემფისი | 5 | 18 | 21,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 18 | 6 | 75,0 |
| სიეტლი | 12 | 10 | 54,5 |
| ფინიქსი | 11 | 10 | 52,4 |
| პორტლენდი | 10 | 10 | 50,0 |
| კლიპერსი | 9 | 13 | 40,9 |
| ლეიკერსი | 9 | 14 | 39,1 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 13 | 38,1 |



გერმანელთა მერეკორდე ოთხეული: სტივ თელოკე, კარსტენ დემლოვი, იენს კრუპა და ტომას რუპრატი

# იანა და იანი, ემა და ემილიანო

## მასპინძლები რეკორდით იწყებენ

*გერმანული რიესის 25-მეტრიან მთავარაუზში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პირველ დღეს მედლების რვა კომპლექტი გათამაშდა. რვიდან ორი ოქრო შვედმა მოცურავეებმა მიითვალეს, მასპინძელთა ანგარიშზე კი ყველა ხარისხის თითო მედალი დაიდო*

**შვედთაგან** სპრინტერები — 50 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე სტეფან ნისტრანდი და ამავე მანძილზე მობაყაყურე ემა იგელსტრომი გამოირჩნენ. ალსანიშნავია, რომ ამის გაკეთება ორივემ უკვე ზედიზედ მესამედ მოახერხა.

მათ ერთი წლით „უსწრებს“ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, უკრაინელი იანა კლოჩკოვა, ვისაც 200 მეტრზე კომპლექსურად მოცურავეთაგან აგერ უკვე ოთხი წელია, ევროპაში ვერავინ ეცილება.

მასპინძელთა ოქრო ოთხი კაცის — სტივ თელოკეს, იენს კრუპას, ტომას რუპრატისა და კარსტენ დემლოვის სარეკორდო მეცადინეობას მოჰყვა. ოთხჯერ 50 მეტრზე კომპლექსურად მოესტაფეტე ამ ოთხეულმა თელოკეს, რუპრატის, დემლოვისა და მარკ ვარნეკეს შარშანდელ მსოფლიო რეკორდს 0,06 წამი ჩაპარსა და ახალ რეკორდად წუთი და 34,72 წამი დააფიქსირა.

სხვაფრივ — თავისუფალი სტილით დასაფარ 400 მეტრზე კვლავ ვერავინ შეეცილა იტალიელ ემილიანო ბრამბილიას; 200 მეტრზე მებრასეთა უფიცხლეს დავაში ისლანდიელმა ორნ არონსონმა ბრიტანელი სტივენ პერის სძლია და 1998-2000 წლებში მტკიცედ პყრობილი ტიტული უკუიგო; და ბოლოს — კაცთა 200-მეტრიან კომპლექსურ გაცურვაში იმარჯვა ვეტერანმა ფინელმა იანი სიევინენმა, მსოფლიო ჩემპიონმა მოკლე, ხოლო ევროპის ჩემპიონმა 50-მეტრიან წყალსატევებში.

**კაცები**

**400 მ თავისუფალი სტილი**

1. ემილიანო ბრამბილია (იტალია) 3.40,60
2. იური პრილუკოვი (რუსეთი) 3.41,90
3. ათანასიოს ოიკონომუ (საბერძნეთი) 3.44,68

**200 მ ბრასი**

1. ორნ არნარსონი (ისლანდია) 1.54,00
2. სტივენ პერი (ბრიტანეთი) 1.54,11
3. გორდან კოზული (ხორვატია) 1.54,50

**200 მ კომპლექსური**

1. იანი სიევინენი (ფინეთი) 1.55,47
2. ტამაშ კერეკიარტო (უნგრეთი) 1.56,07
3. პეტერ მანკოცი (სლოვენია) 1.56,28

**50 მ თავისუფალი სტილი**

1. სტეფან ნისტრანდი (შვედეთი) 21,55
2. ლორენცო ვისმარა (იტალია) 21,66
3. როლანდას გიმბუტისი (ლიტვა) 21,74

**4 X 50 მ**

1. გერმანია 1.34,72
2. ფინეთი 1.35,69
3. უკრაინა 1.36,46

**ქალები**

**200 მ კომპლექსური**

1. იანა კლოჩკოვა (უკრაინა) 2.08,28
2. ალენკა კეიზარი (სლოვენია) 2.09,38
3. ჟანა შჩერბა (ბელარუსი) 2.10,23

**200 მ ბატერფლაი**

1. ევა რისშტოვი (უნგრეთი) 2.07,19
2. მეტე იაკობსენი (დანია) 2.08,30
3. როსერ ვივესი (ესპანეთი) 2.08,40

**50 მ ბრასი**

1. ემა იგელსტრომი (შვედეთი) 30,89
2. სარა პიოვე (გერმანია) 30,90
3. იანე შაფერი (გერმანია) 31,12



# თბილისელმა ბავშვებმა მედლები კანფეტებივით დახვეტეს

**შარშან** და ამა წლის დამდეგს მამა-შვილ ალექსანდრე და ირაკლი ბართაიების ალსაზრდელმა წყალში მხტომელებმა საერთაშორისო შეჯიბრებებში იმდენი მედალი მოიპოვეს, რომ მეტოქენი ლამის საერთოდ უჯილდოებოდ დატოვეს. ეს რომ შემთხვევითი არ იყო, მათ სტრასბურში ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ შეჯიბრებაზეც დაამტკიცეს, როცა 17, აქედან 8 ოქროს, 4 ვერცხლისა და დანარჩენი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. არადა, ეს ასპარეზობა სხვადასხვა ასაკის ნორჩ წყალში მხტომელთა არაოფიციალურ ევროპის ჩემპიონატად ითვლება და მასში, თბილისელთა გარდა, 30 გუნდის 800-მდე წყალში მხტომელი გამოდიოდა.

ჩვენი გუნდი თბილისის მერიასთან არსებული ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლისა (დირექტორი გივი ცქიტიშვილი) და ოლიმპიურ მომზადების ცენტრის (დირექტორი გიორგი უდესიანი) ალსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. ეს მოზარდები ზაფხულში „ლაგუნა ვერეს“ კომპლექსში, ზამთრობით კი დილომში ვარჯიშობენ.

ჩვენი სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთ იასპარეზა შოთა კორაშვილმა, რომელმაც მეტრიანი, 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში ოქროს მედლები მოიპოვა.

ჰოლა ჭანტურიამ ყველას აჯობა მეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში, 3-მეტრიან ტრამპლინზე ვერცხლი მოიპოვა, ხოლო გიორგი გევორქიანთან ერთად სინქრონულ ხტომებში ასევე მეორე ადგილი დაიკავა.

ალსანიშნავია, რომ სინქრონულ ხტომებში ჩვენი სპორტსმენები საერთოდ პირველად გამოვიდნენ და სასიამოვნოა, რომ დებიუტი წარმატებით დასრულდა, თუმც, პატარა ქართველების წარმატებანი ამით არ ამოწურულა.

11 წლის სალომე ჯუღელმა 13 წლის სპორტსმენებში სცადა ბედი, მაგრამ ბევრ უფროსს აჯობა და ბრინჯაოს მედლებიც მოიპოვა მეტრიან, 3-მეტრიან ტრამპლინზე და კოშკზე.

ჯესი მელიქოვამ ყველას აჯობა მეტრიან და 3-მეტრიან ტრამპლინზე.

სოფიკო ხუციშვილი უძლიერესი იყო მეტრიან ტრამპლინზე, 3-მეტრიანზე კი მესამე ადგილზე გავიდა.

სოფიკო ყვავაძემ ბრინჯაო კოშკიდან ხტომაში დაიმსახურა.

რაღა გასაკვირია, რომ ასეთი მონაგარის მერე ჩვენმა ნორჩებმა გუნდურ პირველობაშიც გაიმარჯვეს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, თბილისელმა ნორჩებმა სტრასბურის ხაზინა დააცარიელეს.

**ავთანდილ ტყვიშელი**



# გინდა გახდე ცნობილი?

## ერთმა გახმაურებულმა შეიძლება ბევრი გაახმაუროს

**რაგბიში** დოპინგსკანდალი ერთობ იშვიათი ამბავია. ალბათ ამიტომაც, თუ ვინმე გამოიჭირეს, მისი ვინაობით უმალ ინტერესდებიან წამყვანი საინფორმაციო საშუალებები. ასე დაემართა უსახელო რუმინელ მორაგბე მიხაი როვარიუს, რომელიც დოპინგ-სინჯზე ჩავარდა. როვარიუ ბუქარესტის „დინამოს“ ერთი რიგითი მორაგბეა, მაგრამ სააგენტო „როიტერის“ „წყალობით“ უკვე ცნობილი პიროვნება გახდა.

როვარიუმ პირველი ტესტი ოქტომბერში ჩააგდო. მისი შარდი ევროპის საკლუბო თასის მატჩის „დინამო“ — „სარასენსის“ (ლონდონი) შემდეგ შეამოწმეს და მასში ნანდროლონის კვალი იპოვეს. სულ ახლახან განმეორებითმა ტესტმაც იგივე დაადასტურა. „როვარიუ ნანდროლონის მომხმარებელია, ამას წყალი არ გაუვა. ახლა სხვა მორაგბეებსაც ჩავუტარებთ ტესტებს და მხილებულებს შესაბამისად დავსჯით“ — თქვა ბუქარესტის „დინამოს“ ექიმმა დან ტანაცემ. რუმინეთის რაგბის კავშირის დებულებით, როვარიუს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

**ბაჩო სვანიძე**



**ევროპის ჩემპიონატი. ქალები დანია. 6–15 დეკემბერი**

# კატია ლამის კაცია

## ვინ უფრო ღონიერი ლამაზია?

**A ჯგუფი**

დანია 28:25 იუგოსლავია
ავსტრია 30:22 საფრანგეთი
რუმინეთი 19:17 უკრაინა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დანია | 5 | 0 | 0 | 126:108 | 10 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 121:124 | 6 |
| იუგოსლავია | 3 | 0 | 2 | 153:129 | 6 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 3 | 120:124 | 4 |
| ავსტრია | 2 | 0 | 3 | 126:124 | 4 |
| უკრაინა | 0 | 0 | 5 | 104:141 | 0 |

**B ჯგუფი**

ნორვეგია 24:23 უნგრეთი
რუსეთი 27:22 სლოვენია
ჩეხეთი 30:20 გერმანია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 0 | 0 | 135:103 | 10 |
| რუსეთი | 4 | 0 | 1 | 138:116 | 8 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 2 | 146:142 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 3 | 120:129 | 4 |
| სლოვენია | 1 | 0 | 4 | 124:143 | 2 |
| გერმანია | 0 | 0 | 5 | 111:141 | 0 |

**დასკვნითი** ტურის წინ ორივე ჯგუფში ერთნაირი ვითარება შეიქმნა — ვადამდე ვერავინ შეძლო საპლეიოფო საგზურის განაღდება და ოთხივე ნახევარფინალისტის ვინაობაც ბოლო მატჩებს უნდა გაერკვია. საამისო მეტ-ნაკლები შანსი კი სამ-სამ გუნდს შერჩა.

უმოტივაციო ავსტრიელებმა სამედლო პრეტენზიის მქონე ფრანგთა მოულოდნელი ძლევით გზა გაუიოლეს იუგოსლავიელებს, რომელთაც მიზნის მისაღწევად მასპინძლებთან შეხვედრაში ფრეც ეყოფოდათ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ფრანგების ჩაფლავებით დანიელებმა უკვე თამაშამდე დაიბევეს ჯგუფში პირველობა, მაინც ბოლომდე, ჯიგრით იბრძოლეს და ტაიმიც და მატჩიც სამბურთიანი სხვაობით მოიგეს ისე, რომ მათი გამარჯვება წუთითაც არ გამხდარა სათუო. შედეგად, საფრანგეთის ნაკრები იუგოსლავიელებზე წინ აღმოჩნდა ურთიერთშეხვედრის მოგებით — 29:27.

მასპინძელთა მწვრთნელი იან პიტლიკი ნამატჩევს აღფრთოვანებას ვერ მალავდა: „ჩვენმა მეკარე კარინ მორტენსენმა, რომელიც სადღეისოდ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, აგრეთვე დაცვამ ბრწყინვალედ ითამაშეს. ამასთან კონტრშეტევებიც ჩინებულად გამოვიყენეთ. ხუთი ათასმა მაყურებელმაც გადასარევად გვიქომაგა და დიდად დაგვეხმარა წარმატების მიღწევაში. თუკი რუსებთან მომავალ შეხვედრაში ყოველივე ამ დონეზე განმეორდება, ფინალში გასვლის მშვენიერი შანსი გვექნება“.

ხავსს ჩაჭიდებული უნგრელები იუგ ქალებზე უარეს დღეში იყვნენ. სლოვენიელებთან რუსების წაფორხილების შემთხვევაში მათ ნორვეგიელებთან ფრეც მოუტანდა სასურველ შედეგს, მაგრამ რაკი სლავურ დაპირისპირებაში სენსაცია არ მომხდარა, მადიართა პრობლემაც ერთიათად გართულდა, მით უფრო, რომ თამაში ვერ შეძლეს წინა ტურში დაშავებულმა ლიდერებმა აგნეშ ფარკაშმა და ჰელგა ნემეტმა. და მაინც უნგრელი გოგოები გმირულად გაუძალიანდნენ ოლიმპიურ ჩემპიონებს და მატჩის მიწურულს, ათ წუთში მოახერხეს ექვსბურთიანი ჩამორჩენის გაბათილება, მაგრამ ბოლო წამზე სკანდინაველთა ერთ-ერთი მთავარი მეგოლის კატია ნიბერგის 18 მეტრიდან კაცურძალით ნატყორცნმა ტურნირის ფავორიტებს ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოუპოვა.

ამრიგად, დღეს ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან მასპინძელი დანიელები და მსოფლიოს ჩემპიონი რუსები, აგრეთვე უტიტულო ფრანგები და სიდნეის ოლიმპიადის ტრიუმფატორი ნორვეგიელები. ხვალ კი მოგებულები ჩემპიონს გამოავლენენ.

ბოლოს ორიოდე სიტყვით ბომბარდირებზე: ლიდერმა, ავსტრიელმა აუშრა ფრიდრიკასმა ისევე, როგორც წინა თამაშში, ამჯერადაც ცხრა გოლი მიითვალა და უკვე 54 დაუგროვდა. ლიდერყოფილი ფარკაში მეოთხე პოზიციამდე ჩამოქვეითდა, სამეულში კი არიან ჩეხი პეტრა კამპლოვა (48) და რუსი ირინა პოლტორაცკაია (46).



რუს ლუდმილა ბოდნიევას სლოვენიელი მირა ვინჩიჩი ჩაებუტა

**გია ახალაძე**

# კარენ პუცერის პირველი გიგანტური სიამოვნება




კარენ პუცერმა იღბლიანი თხილამურები ჩაყიდა

**ფრანგული** ვალდიზერის გიგანტურ სლალომზე ქალთა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი ჩაიკლიკანტდა. მრავალთათვის მოულოდნელად, ყველაზე მარჯვე და ჩაუქი 24 წლის იტალიელი, სუპერგიგანტში ოლიმპიური მებრინჯაოვე კარენ პუცერი გამოდგა.

გიგანტურ სლალომზე პუცერს არასოდეს ემარჯვა. თუკი მისი აქამომდელი სამსოფლიოთასო წარმატებებით დავინტერესდებით, პასუხად უკლებლივ სუპერგიგანტში მოპოვებულ ჯილდოებს მივიღებთ — ამ დისციპლინაში მას მსოფლიო თასის სამი ეტაპი მოუგია, აქედან ერთი ნოემბერში, კანადურ ლეიკ ლუისში აიკლო.

იმდღევანდელ ამქარს კარენი სათავეში პირველი ცდიდანვე ჩაუდგა — ტრასის თხემიდან ტერფამდე ჩასრიალება წუთსა და 12 წამზე ნაკლებ დროში მის გარდა ვერავინ შეძლო. მართალია, მეორე ცდას ბევრმა მესლალომემ 70 წამზე ნაკლებიც მოანდომა, მაგრამ ჯამური 2 წუთისა და 22,17 წამის მომქუჩებელმა პუცერმა პირველი ადგილი მაინც უპრობლემოდ დაინარჩუნა.

კარენ პუცერი: „დიდი ხნის ოცნება ავიხდინე. ძალიან ბევრჯერ მოგებამდე სულ ცოტა დამაკლდა და მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ამის გაკეთება მაინც შევძელი. სიმართლე გითხრათ, ასე სწრაფად თუ ვისრიალებდი, თავადაც არ მეგონა, აქ ჩამოსვლისას სულაც არ ვფიქრობდი, რომ უნდა მომეგო... პირველი ცდა ძალიან დამღლელი იყო, ამიტომაც მეორე ჩამოსვლაზე მაგრად ვინერვიულე. პირველი ცდის შემდეგ საუკეთესო შედეგები ადრეც მქონია, თუმცა მერე ყოველთვის მეორე ადგილზე ვამთავრებდი. თუკი ახლა მაინც მოვიგე, მხოლოდ იმიტომ, რომ მიღწეულით არ დავკმაყოფილებულვარ და მეორე ცდაზეც ბოლომდე შევუტიე".

პუცერის მომდევნო ადგილი შვეიცარიელმა სონია ნეფმა დაიკავა — 2.22,53. ნეფი კმაყოფილი ჩანდა, რაკილა სეზონის წინა საუკეთესო შედეგად მხოლოდ სიოლდენის გიგანტურ სლალომზე მონაგრულ მე-5 ადგილს მოიძევდა. სხვათა შორის — იგიცა და სხვა შვეიცარიელნიც იმ დღეს შავი სამკლავურით გამოდიოდნენ: სამშაბათს, მშობლიურ ვერბიეს ტრასაზე გზის მუშასთან შეჯახებისას დაღუპული 19 წლის ვერნერ ელმერის საპატივცემლოდ!

ვალდიზერული მესამე ადგილი კი ავსტრიელებმა, მსოფლიო თასის ოდინდელმა და შარშანდელმა პირველოსნებმა, შესაბამისად — ალექსანდრა მაიზნიცერმა და მიქაელა დორფმაისტერმა გაინაწილეს. წარუმატებელი პირველი ცდების შემდეგ — მაიზნიცერი მე-13-ზე დადგა, დორფმაისტერი კი - მე-15-ზე — ორივემ საუცხოოდ ისრიალა და ჯამში თანაბარი დრო — 2 წუთი და 23,05 წამი დახარჯა.

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს თასის ამჟამინდელი ლიდერი, ხორვატი იანიცა კოსტელიჩი ავსტრიელებს წამის ხუთი მეასედით ჩამორჩა და მეხუთე ადგილს დაპყაბულდა.

დასასრულს არც იმის აღუნიშნავობა იქნება, რომ უკანასკნელი იტალიელი, ვინაც იქაურ ტრასაზე გამარჯვება შეძლო, ამას წინათ დაშავებული იზოლდე კოსტნერი, ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ. იზოლდემ იქ 1999 წელს იმარჯვა.

**ლადო გუდაური**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ფრენსისი სიზერეში გაფრინდა

12 დეკემბერი

**კალგარი 3:4 კაროლინა 2:2 1:1 0:1**
1:0 საპრიკინი (4), 1:1 ფრენსისი (15), 2:1 კონროი (16), 2:2 ონილი (17), 3:2 დრური (31), 3:3 ბატალია (34), 3:4 ფრენსისი (53)

კაროლინას ვეტერანი რონ ფრენსისი ალბათ თავადაც არ მოელოდა ასეთ შედეგიანობას. 21 სეზონის განმავლობაში მან სახელი გაითქვა, როგორც პლეიმეიკერმა და გოლების სიჭარბით არასდროს გამოირჩეოდა. და აი, 39 წლის ასაკში ყოვლისმნახველი ვეტერანის წინაშე თითქოს ახალი ჰორიზონტი გაიხსნა — მან უეცრად აღმოაჩინა, რომ გოლების გატანა არანაკლებ სასიამოვნო ყოფილა. კალგარისთან შეხვედრაში მან ორი შაიბა შეაგდო და სულ 12 დაუგროვდა, პასები კი მხოლოდ 10 აქვს აქტივში. თან მისმა მეორე გოლმა კაროლინას ბოლო 5 მატჩში პირველად მოაგებინა.

**სან ხოსე 5:2 პიტსბურგი 1:1 1:1 3:0**
0:1 ლემიე (9), 1:1 გრეიფსი (18), 1:2 ლემიე (27), 2:2 მარლო (38), 3:2 რიჩი (50), 4:2 ნოლანი (57), 5:2 მარლო (59)

მარიო ლემიემ გახსნა შოუ, მაგრამ ფარდა მაინც სანხოსელებმა დაუშვეს. მატჩის დასაწყისი ერთი მსახიობის თეატრს მოგაგონებდათ — სუპერმარიო ყოველთვის ბრწყინვალედ თამაშობს „ზვიგენებთან" და ახლაც გააგრძელა ტრადიცია, საკუთარი ძალისხმევით ორი გოლი გაიტანა, ერთხელ ძელს მოარტყა, ერთხელაც მისი გარღვევა სანხოსელთა მეკარემ ევგენი ნაბოკოვმა გაჭირვებით შეაჩერა. მერე კი მთავარი როლის შემსრულებელი დაიღალა, დუბლიორებმა კი ვერ ივარგეს და მატჩის ბოლოს სან ხოსემ თავის სასარგებლოდ შეატრიალა თამაში, მასპინძლებმა ბოლო 10 წუთში სამი გოლი გაიტანეს. ეს სანხოსელთა ახალ თავკაც რონ უილსტონის მესამე მატჩი და მეორე მოგება გახლდათ.

**ნეშვილი 2:2 სენტ ლუისი 0:0 1:1 1:1 0:0**
1:0 უოკერი (33), 1:1 რუჩინსკი (37), 2:1 უოკერი (43), 2:2 მელანბი (48)

დაბრუნდა ბრენტ ჯონსონი და ეს სენტ ლუისსაც დაეტყო. ტრავმის გამო 28 მატჩის გამცდენმა ჯონსონმა თავისი დებიუტი 35 მოგერიებით დაამშვენა.

**დეტროიტი 2:3 მინესოტა 1:1 0:2 1:0**
1:0 დევერო (13), 1:1 უოლცი (15), 1:2 პარკი (30), 1:3 ვალინი (32), 2:3 შენაჰანი (44)

უკვე აღარავის ეპარება ეჭვი მინესოტას სიძლიერეში. სეზონის მთავარმა აღმოჩენამ დეტროიტს 1995 წლის ფინალის კოშმარი შეახსენა, როდესაც ეს დიდებული გუნდი „ეშმაკების" ნაქსოვ დაცვის ბადეში გაიბლანდა. 7 წლის შემდეგ სიტუაცია განმეორდა. და ერთიც, ახლანდელი მინესოტასა და მაშინდელი ნიუ ჯერსის თავკაცი ერთი და იგივე ადამიანია — ჟაკ ლემერი.

**მონრეალი 2:3 ტამპა 1:0 0:1 1:2**
1:0 კოლგური (6), 1:1 ბოილი (30), 1:2 რიჩარდსი (43), 2:2 კოივუ (45), 2:3 სან ლუი (55)

გაიცანით მარტინ სან ლუი, 25 წლის ასაკამდე ქვედა ლიგებში მოხეტიალე ფრანგი. ცნობარების მიხედვით კანადელის სიმაღლე 172 სმ-ია, მაგრამ ერთი გონებამახვილი ჟურნალისტის თქმით, მარტენს სიმაღლეს ალბათ ციგურებიანად უზომავდნენ. ჰოდა, ეს „ჯუჯა" ტამპელი დღესდღეობით ნჰლ-ის მეკარეების რისხვად იქცა. მონრეალთან მატჩშიც მას მესამე პერიოდში მიეცა გოლის გატანის ჩინებული შანსი და გამოიყენა კიდეც. სეზონში მე-17 შაიბით ტამპას მოგება მოუტანა. ამ მომენტს მისი 51 მეგობარ-ახლობელი შეესრო და მარტინი ამან აღაფრთოვანა. „ეს ჩემი სამშობლოა და ბედნიერი ვარ, რომ დღეს ჩემები ასე გავახარე. ამ არენაზე წინა სეზონშიც შევაგდე გადამწყვეტი შაიბა, მაგრამ მაშინ არავინ მიცნობდა. ახლა სულ სხვა საქმეა" — ქაქანებდა ნამატჩევს სან ლუი.

**ფილადელფია 2:1 ტორონტო 0:0 0:0 2:1**
1:0 განიე (48), 2:0 დესარდენი (49), 2:1 რენბერგი (51)

ათამაშებულმა სიმონ განიემ ტორონტოს მეკარე ედ ბელფორს „მშრალი" სერია 196-ე წუთზე შეაწყვეტინა.

**ბოსტონი 2:5 ოტავა 1:2 0:3 1:0**
1:0 ნაბლი (4), 1:1 ვან ალენი (10), 1:2 ნილი (17), 1:3 უაიტი (26), 1:4 ვოლჩენკოვი (31), 1:5 ჰოსა (40), 2:5 ტორნტონი (51)

**კოლუმბუსი 4:2 ნიუ ჯერსი 1:1 2:0 1:1**
0:1 ნიდერმაიერი (4), 1:1 კესელსი (7), 2:1 უაიტნი (24), 3:1 ვიბორნი (3:), 3:2 ნიდერმაიერი (58), 4:2 რაიტი (60)




ოტაველმა კრის ნილმა ბოსტონელი ბრაიან ბერარდი ბორტს ისე მიანარცხა, მაყურებელიც კი შეაკრთო




ილია კოვალჩუკის (მარჯვნივ) პირველი ჩხუბი და პირველი მსხვერპლი

# პატარა ილია რუსულად იკბინება

**ატლანტელ** კოვალჩუკს ჯერ ბევრის სწავლა მართებს. ეგებ 19 წლის ვუნდერკინდმა სხვა რუსებზე უკეთესი კარიერა გაიკეთოს ლიგაში, მაგრამ ბიჭუნა კორექტულობით ვერ დაიკვეხნის.

ამ უქმეებზე, ედმონტონთან შეხვედრაში, კოვალჩუკმა თავის ნჰლ-ურ კარიერაში პირველად იჩხუბა. მას მეტოქე მაიკ კომრი ეუხეშა და თავისზე გაცილებით ტანმორჩილ ედმონტონელს რუსი ისე ეცა, მსაჯებმა ძლივს გააშველეს. კომრის საკმაოდ მოხვდა, კოვალჩუკმა ცოტა გადააჭარბა კიდეც, როცა თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად მეტოქე მაისურის თავზე წამოცმას არ დააჯერა და თმებზეც მოქაჩა. ამას კიდევ რა უშავს, რაც მან მერე გასახდელში გააკეთა, ყველა ზღვარს სცილდება და მრავლისმნახველი ჟურნალისტებიც კი გააოცა. ჯერ ერთი, მან არ ისურვა მედიასთან ინგლისურად ლაპარაკი და მთარგმნელს უხმო (არადა, ინგლისურად კარგად ლაპარაკობს); მერე მეტოქებს იდიოტების ხროვა უწოდა და დასძინა, რომ ნებისმიერი რუსული გუნდი ასეთ მოწინააღმდეგეს 10:0 გაანადგურებს. მთელი მატჩის განმავლობაში უდიერად მექცეოდნენ და ამიტომაც ვცემე კომრიო — გულახდილად თქვა ილიამ. აღსანიშნავია, რომ როცა კოვალჩუკმა სიტყვა „იდიოტი" იხმარა, მთარგმნელმა ურჩია, იქნებ ცოტა შეავარბილოთო, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო. ლიგის დაუწერელი კანონი კი ასეთია: როგორი ნაწყენიც უნდა იყოს მოთამაშე, ჟურნალისტებთან საუბარში არასდროს უნდა გადააბიჯოს მიღებულ ზღვარს. ჩვენში ამაზე იტყვიან ხოლმე, დაუკრეფავში გადავიდაო.

**სამველ ლარიბიანი**

# ლორდის ქალი



ეს ერთ ფოტოზე ლაჯმოტიტვლებული ქალი ავსტრალიელი მძლეოსანი ჯენ ფლემინგი გახლავთ, ხოლო ჯენი რომ მეორე ფოტოზე პირხმელ კაცთან ერთად „მოტასაობს", ეგ ვინმე არ გეგონოთ — დიდბრიტანელი ლორდია და თავის დროზე რომ დარბოდა, მისი არაჩვეულებრივი სახელი და გვარი — სებასტიან კოე — ოროსანმა ბავშვებმაც იცოდნენ... რაღა ბევრი გავაგრძელოთ, 44 წლის ლორდ კოე 12-წლიანი ბედნიერი ცოლქმრობისა და ოთხი შვილის შაქმნის შემდეგ მეუღლე ნიკის გასცილებია და ახლა ამ სანდომიან ქალთან ერთად დაალაჯებს.











# ობოლი ტახტისთვის

უკვე მერამდენედ იწონება ევანდერ ჰოლიფილდი და უკვე მერამდენედ გადის საჩემპიონო ბრძოლაში. ამჯერად ფედერაციის (იბფ) ქამარი თავისი ნებით დაუთმია მსოფლიოს ნამდვილ ჩემპიონს, ლენოქს ლუისს, მაგის დაცვა ოფლისღვრად არ მიღირსო და ფედერაციასაც სასწრაფოდ შეურჩევია ობოლი ტახტის დამპყრობნი. ერთი, რა თქმა უნდა, ჰოლიფილდია, მეორე კი მეტად თავისებური და კარგი მოკრივე კრის ბერდი, რომელიც თავისი ტანმორჩილობის გამო მართლაც ჩიტად მოჩანს მძიმე წონაში. ბერდი ძირითადად ცნობილია როგორც ორგანიზაციის (ვბო) ყოფილი ჩემპიონი, ვიტალი კლიჩკოს მძლეველი, ვლადიმირ კლიჩკოსთან კი დამარცხებული. ჰოლიფილდ-ბერდი ამაღამ იქნება ატლანტიკ სიტის „სიზორს კაზინოში".

# სნოუბორდი ჩინეთში

მთელს ლამის ორმილიარდიან ჩინეთში სნოუბორდის ერთადერთი ნამდვილი ინსტრუქტორი, ავსტრიელი შტეფან ზდარსკი მოღვაწეობს. ზდარსკის სნოუბორდის შემსწავლელი ჩინურ-ავსტრიული ფონდი დაუარსებია და მთავარბანაკად პეკინის ახლო ნანმანის ყინვის სოფელი აქვს. ზდარსკის აღუზრდია ჩინეთის საუკეთესო სნოუბორდელი ვენგ ლეიც, რომელიც ამ ფოტოზე დათოვლილ გზას მიუყვება ვარჯიშობის დასაწყებად.



REUTERS



REUTERS

# ქაბულში ბურთი დაფრინავს

მეტად ჰყვარებიათ ავღანელებს სპორტი და მეტადაც მონატრებიათ თალიბურ აკრძალვათა შემდეგ. ქაბულში ფეხბურთი, ფრენბურთი და კრიკეტია გახურებული. რა არის რომ, მხოლოდ დილით ან საღამოს, რადგან დღისით ძალიან ცხელა. ისე, ამგვარი ხალათები ფრენბურთისთვის არ მოუგონიათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გვლუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge